საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge

შემოქახილი ქუთაისიდან

5

მემორიალი უნდა გადარჩეს!



სამშაბათი, 23 აგვისტო. 2016 წ. №155 (8047), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ფრთხილად, არჩევნებისწინა ყოველი დღე ნაციონალური, ანუ ტერორისტული იქნება!

სუს-მა ტერორისტული აქტი აღკვეთა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა 2016 წლის 20 აგვისტოს რამდენიმეთვიანი მუშაობის შედეგად ტერორისტული აქტის ჯგუფურად მომზადებისათვის და ტერორისტული მიზნით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა, ტარებისა და ამავე დანაშაულის ჩადენაში დახმარების ფაქტზე, საქართველოს ხუთი მოქალაქე: ბექა ბ, ვლადიმერ რ, მინდია ვ, ჯაბა მ. და ნური ჭ. დააკავა.

ამ პირების გარდა, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასთან ერთობლივად დაკავებულია საპატრულო პოლიციის მოქმედი თანამშრომელი ლევან მ, დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე საქართველოს ერთი მოქალაქე ირაკლი ბ.

გამოძიებით დადგენილია, რომ დასახელებული პირები ამზადებდნენ სოფელ საგურამოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე არაგვზე გამავალი რუსეთ-სომხეთის დამაკავშირებელი გაზსადენი მილის ღია მონაკვეთის აფეთქებას.

ამ მიზნის განსახორციელებლად, 20 აგვისტოს, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები გაემგზავრნენ ჟინვალი-შატილის საავტომობილო გზის მახლობლად ტყის მასივში არსებული იარაღის სამალავიდან ასაფეთქებელი ნივთიერებების ამოსაღებად.

სამალავიდან მათ ამოიღეს: 4 ცალი 200-გრამიანი ტროტილის კოჭა, ორი სახის ცეცხლგამტარი ზონარი, 5 ცალი კაფსულა დეტონატორი, ერთი ცალი ე.წ. „უემკაზე“ მუხტი, ერთი ცალი რუსული წარმოების ე.წ. „ვეზედეს“ მუხტი თავისივე ამფეთქით, რუსული წარმოების ერთი ცალი ამფეთქი და მოათავსეს ავტომანქანაში, რა დროსაც დაკავებული იქნენ სუს-ის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ.

გამომძიებლების მიერ სამალავის დათვალიერების შედეგად ამოღებულია დამატებით 3 ერთეული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი მჭიდებით და საბრძოლო მასალა.

ერთ-ერთი დაკავებულის ბინაში, მისი პერსონალური კომპიუტერიდან ამოღებულია რუკა, სადაც დატანილია ის ადგილები, რომლის აფეთქებასაც დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები გეგმავდნენ.



შალვა ისაკაძე 80

ბატონ **შალვა ისაკაძეს** — გამოჩენილ დეკორატორს და ლანდშაფტის არქიტექტორს, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, იშვიათი პროფესიის ხელოვანს და მეცნიერს — სულითა და გულით ვულოცავთ დაბადების დღეს.

იხ. 6-7 გვ.

ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება!

ნახეთ, წაიკითხეთ და სხვასაც ურჩიეთ! 19 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკა“ ჯერ კიდევ გაყიდვაშია!

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფში „ეროვნული თანხმობის პარლამენტის“ ფორმირებისთვის მიგვაჩნია, რომ დღეს საქართველოს სჭირდება ისეთი ხელისუფლება და ოპოზიცია, ისეთი მედია და არასამთავრობო სექტორი, რომელიც ჭკუას კი არ ასწავლის ხალხს, არამედ ემსახურება მას — ხალხს, ქვეყნის ჭეშმარიტ პატრონს!

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი აგრძელებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 12 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული დოკუმენტების შესაბამის მოქმედებებს. ჩვენ ამ საკითხებს არ მოვეშვებით და არც იმას ვამბობთ, რომ ჩვენ ვართ სიმართლის საბოლოო ინსტანცია, მაგრამ თანამშრომლობა საჭიროა, დისკუსია აუცილებელია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციასთან შეთანხმებით, ყოველ პარასკევს გამოვაქვეყნებთ მოსახლეობასთან, საზოგადო მოღვაწეებთან, მეცნიერებთან დათათბირებით შერჩეულ იმ ადამიანთა სიებს, რომელთა მიმართაც საზოგადოებაში კარგი განწყობაა. ყოველ ხუთშაბათს, 17 საათზე ტელევიზია „ქართული ტვ“-ს მხარდაჭერით გვექნება სპეციალური გადაცემა „ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება!..“

დიდი მადლობა ყველას, ვინც საფუძვლიანად გაეცნობა მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის ნააზრევს, ვინც შეძლებს, რომ სხვაც დააინტერესოს. წაიკითხავს მასალას „საქართველოს რესპუბლიკაში“, ვინც ნახავს გადაცემას „ქართული ტვ“-ს ეთერში. ეს იქნება ამ დიდ ქართულ პროცესში ჩართვა.

ჩვენ მუდამ მზად ვართ თანამშრომლობისთვის.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 19 აგვისტოს ნომერში ვსაუბრობთ 77 პიროვნების შესახებ.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის დავალებით

პროფესორი რამაზ ლომინაძე

„ახალი მესხეთი“...

პრემიერ-მინისტრი რძის პროდუქტების საწარმოში

თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი რძის პროდუქტების საწარმო ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოში, — „ახალი მესხეთი“, რომელიც სახელმწიფო პროგრამა შეღავათიანი აგროკრედიტის“ ფარგლებში შეიქმნა, გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დაათვალიერა.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, ასეთი საწარმოები უნდა გახდეს მაგალითი რეგიონში სხვა მეწარმეებისთვის, ვინაიდან დღეს სახელმწიფოს მხრიდან არის ყველანაირი ინსტრუმენტი, რათა ხელი შეეწყოს ახალი საწარმოების მშენებლობას.

პრემიერმა აღნიშნა, რომ მსგავსი საწარმოს არსებობა მესხეთში, განსაკუთრებით სუფთა ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით, ძალიან მნიშვნელოვანია.

საწარმო დღეში 12 ტონამდე ადგილობრივ ნატურალურ რძეს იბარებს გადასამუშავებლად და ევროპული სტანდარტების მიხედვით უშვებს ყველის პროდუქციას, რომელიც, მთელი საქართველოს მასშტაბით, სუპერმარკეტებში იყიდება. საწარმოს შემქმნელები, სამომავლოდ ექსპორტზე ორიენტირებასაც გეგმავენ.

„ვფიქრობთ, ძალიან კარგია, რომ „შეღავათიანი აგროკრედიტის“ ორი ტრანშით ყველაზე თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საწარმო შეიქმნა, სადაც დასაქმებულია ათეულობით ადამიანი. საწარმო ადგილობრივ პროდუქციას იბარებს. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ირიბად, ამ საწარმოთი უკვე ასეულობით ადამიანი სარგებლობს, ვინაიდან ისინი ადგილობრივი რძის პროდუქციის რეალიზაციას ახდენენ“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ბიძინა ივანიშვილი GDS-ზე ახალი გადაცემით ბრუნდება

ბიძინა ივანიშვილი ტელევიზიას უბრუნდება. „TV პირველის“ „ინგა გრიგოლიას დღის ამბების“ ინფორმაციით, ყოფილი პრემიერ-მინისტრი GDS-ზე პირველი სექტემბრიდან ახალ გადაცემას იწყებს . ივანიშვილი გადაცემას 20/30-ის ორ ჟურნალისტთან ნათია თოიძესთან და მიშა ფეიქრიშვილთან ერთად წარუძღვება. ასევე რამდენიმე დღეში ბიძინა ივანიშვილი საქართველოს რეგიონებში წინასაარჩევნო ტურნეს დაწყებას აპირებს და ერთი თვის განმავლობაში აქტიურად იქნება ჩართული „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიაში.

მერაბ მეტრეველმა იფიქრა, იფიქრა და... პაატა ბურჭულაძის პარტია დატოვა

„არსებობს სხვადასხვა მიზეზი, რის გამოც ვიღაცასთან ერთად ჩემთვის ყოფნა მიუღებელია. ეს მიზეზები უკვე ითქვა, რომ ეს გაერთიანება ჩემთვის მიუღებელია. მე მინდა ამ პარტიას ვუსურვო წარმატებები და არჩევნებში გამარჯვება“, — განაცხადა მერაბ მეტრეველმა.

პრესკონფერენციაზე პაატა ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ მერაბ მეტრეველის წასვლა პარტიისთვის დიდი დანაკარგია.

„მე მინდა მერაბს გზა დავულოცო და მადლობა ვუთხრა გაწეული მუშაობისთვის“, — განაცხადა ბურჭულაძემ.

„მერი მოვა მაშინ, როცა ამას საკრებულოს თავმჯდომარე და წევრები გადაწყვეტენ“

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი ეხმაურება ოპოზიციონერი დეპუტატების მოთხოვნას მერის საკრებულოში დაბარებასთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ დავით ნარმანიას ანგარიშით საკრებულოში მისვლის დროზე გადაწყვეტილებას საკრებულოს თავმჯდომარე და მისი წევრები მიიღებენ. საკრებულოს თავმჯდომარის თქმით, ვიდრე თბილისის მერი საკრებულოში მივა, საქმიანი შეხვედრა ექნება ქალაქის ეკოლოგიის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელთან, რათა გაარკვიონ, თუ როგორ მიმდინარეობს მოკვლევა ყაზბეგის გამზირზე ხეების ჭრის ფაქტთან დაკავშირებით. ალიბეგაშვილის განცხადებით, ეკოლოგიის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელთან შეხვედრის შემდეგ, რა კითხვებიც გაუჩნდება მას, თბილისის მერთან შეხვედრაზე დასვამს.

საქართველო BBC-ის ობიექტივში

ტელეკომპანია BBC საქართველოს შესახებ 4 ფილმს აჩვენებს. დოკუმენტური ფილმების გადასაღებად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, საქართველოს კომპანია „Edenwood Productions“ გადამღები ჯგუფი ეწვია. ტურში მონაწილეობას იღებენ მთავარი პროდიუსერი Lydia Conway და დამხმარე ასისტენტი Benjamin Arnott.

გადამღები ჯგუფის მონაწილეებმა 2 კვირის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეები მოინახულეს. ჯგუფის წევრებმა გადაიღეს თბილისი, მცხეთა,უფლისციხე, ბორჯომი, რაბათი, ვარძია, წყალტუბო, აჭარა, სვანეთი, ზუგდიდი, მარტვილი, ქუთაისი, გორი, კახეთი, ანანური და ყაზბეგი. თითო ფილმი 1-საათიანი იქნება და საქართველოს კულტურას, ისტორიას, რელიგიას და ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს მიეძღვნება. ტელეკომპანია BBC-ის ეთერში გასვლის შემდეგ დოკუმენტური ფილმების ნახვა BBC-ის და გავლენიანი გამოცემა The Telegraph-ის გვერდებზე იქნება შესაძლებელი.

დიმიტრი ხუნდაძე: 4 წლის განმავლობაში მცხეთაში გავაკეთეთ ის, რაც არასოდეს გაკეთებულა

პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ მცხეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დიმიტრი ხუნდაძე ქალაქ მცხეთისა და თემის მოსახლეობასთან შეხვედრებს მართავს.

„4 წელია, საკუთარ ამომრჩეველს ყოველწლიურად ვხვდები და ვაბარებ ანგარიშს.

ახლაც ერთგვარი ანგარიში გამომდის, რადგან კიდევ ერთხელ მსურს უკვე ვიზუალურად ვაჩვენო მათ ის პროექტები, რაც უკვე განხორციელდა ქალაქსა და რაიონში. ჩვენ ამისთვის დავამზადეთ სპეციალური ბანერები.

ქალაქ მცხეთასა და მცხეთის რაიონში განხორციელებული მსხვილი პროექტების საერთო ღირებულება 60 მილიონს აღწევს, აღარ ვსაუბრობ სოფლის პროგრამებზე და მცირე პროექტებზე. მსხვილი პროექტები ჩემს წინასაარჩევნო დაპირებებში შედიოდა 2012 წელს და ჩემი დანაპირების 90%-ზე მეტი შევასრულე. რაც ვერ შესრულდა, მხოლოდ და მხოლოდ სხვისი ხელისშეშლის გამო.

არაერთხელ განმიცხადებია, რომ მცხეთა ყოველთვის დახლზე იყო სავაჭროდ შემოდებული. აქ ცხოვრება წინ არ მიდიოდა. ერთადერთი, რაც წინა ხელისუფლების დროს გაკეთდა, არის სვეტიცხოვლის შემოგარენი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, მაგრამ ისეთი ხარისხით, რომ იუნესკომ მცხეთა კულტურული ძეგლების ნუსხიდან ამოიღო. ამის გამო მე თავად დამჭირდა ჩასვლა იუნესკოში და რამდენიმე შეხვედრა ხელმძღვანელობასთან. საბედნიეროდ, დღეს მცხეთამ ეს სტატუსი დაიბრუნა.

ასევე, ნაციონალების მიერ მთლიანად გაიყიდა მცხეთის მიწები. 4,5 მლნ. პროექტი — იუსტიციის სახლი ვერ განვახორციელეთ მხოლოდ იმიტომ, მცხეთაში მიწა აღარ არის. თითქმის გაყიდული იყო არსენას ძეგლის მიმდებარე ტერიტორია, რომელიც ჩემი დიდი ბრძოლის შედეგად მცხეთას დაუბრუნდა და სკვერის სტატუსი მივეცით, რათა დაცული იყოს მომავალშიც.

დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ 4 წლის მანძილზე მცხეთაში გავაკეთეთ ის, რაც არასოდეს გაკეთებულა. ბედნიერი ვარ იმით, რომ ხალხი ამას ხედავს და მადლიერია. ამას ყოველდღიურ შეხვედრებზე ვგრძნობ. რა თქმა უნდა, პრობლემები ჯერ კიდევ ბევრია, მაგრამ, როდესაც ხედავენ, რომ არ ვჩერდებით და ხალხის ფულსაც არავინ იპარავს, მოთმინებით უდგებიან ყველა საკითხს. ჩემი მთავარი დანაპირები პოლიტიკაში მოსვლისას სწორედ ეს იყო, რომ მცხეთას გავათავისუფლებდი კორუფციისგან და ეს ასეა. მე მცხეთელებს დავპირდი, რომ არც ერთ თეთრს ჩემს ოჯახში არ წავიღებდი და ამისათვის შემიძლია სწორედ ჩემი ოჯახი დავიფიცო ნებისმიერთან, რომ ეს ასეა.

მე დეპუტატობამდე ბევრად უფრო დიდი შემოსავალი მქონდა, მაგრამ ჩემს ქვეყანას დასჭირდა და ხალხის, პირველ რიგში კი მცხეთელების სამსახურში ჩავდექი.

სამწუხაროდ, სახელმწიფოს არა აქვს იმის საშუალება, რომ ყველა პრობლემა ერთდროულად მოგვარდეს. სოფლებში ძირითადი პრობლემა წყალი და გზებია. მცხეთის თითქმის ყველა სოფელში დაწყებულია წყლის პროექტები, ზოგში დასრულდა, ზოგშიც კიდევ მიმდინარეობს. ასევეა გზებიც. ყველაზე მთავარი არის ის, რომ მცხეთას არ ჰქონდა კულტურის სახლი და დღეს უკვე დასრულებულია 4,5 მლნ. პროექტი; ყველა ხელისუფლება ჰპირდებოდა მცხეთელებს მათი ოცნების ასრულებას — საცურაო აუზს და არავინ აკეთებდა. ეს პროექტიც თითქმის დასრულებულია და მცხეთელებს მალე ექნებათ 6 მლნ. ღირებულების საცურაო აუზი და სპორტული კომპლექსი. ნოემბერში დაიწყება მუზეუმის 5 მლნ. პროექტის განხორციელება, რომელიც აქამდე უკვე დასრულებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ალბათ ახსოვს მოსახლეობას ჩემი ბრძოლა ამ საკითხთან დაკავშირებით. დასრულდა 10 მლნ. პროექტი — თანამედროვე, ახალი აპარატურით აღჭურვილი საავადმყოფო, სადაც მოწვეული იქნებიან ექიმები უცხოეთიდან, ამაზე უკვე შედგა მოლაპარაკება. საავადმყოფო ოქტომბერში გაიხსნება. მხოლოდ აქ 250 კაცი უნდა დასაქმდეს; ქალაქ მცხეთაში და რამდენიმე სოფელში ახალგაზრდებს გავუკეთეთ სპორტული მოედნები, ბავშვებს — სკვერები. ავაშენეთ ახალი სკოლები მუხრანში, წილკანში, ძეგვში, ასევე ახალი ბაღები ქალაქ მცხეთაში, წეროვანში, წილკნის დევნილთა დასახლებაში, ქსოვრისში.

იწყება დიდი ბაღების მშენებლობა მუხრანში და ქსანში; გარემონტდა რამდენიმე სკოლა და ბაღი; მიმდინარეობს წინამძღვრიანთკარის პროფსასწავლებლის რეაბილიტაცია.

მცხეთელებმა იციან, რასაც ვპირდები, აუცილებლად ვასრულებ. განვლილი 4 წლით მე ეს უკვე დავუმტკიცე“, — განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.



მცხეთის ქალაქს
მირონი დუღს,
მზის და ვაზის მირონი,
ოცნებებში ღაღადებენ
საქმენი საგმირონი...

„ცხოვრება“, რომელიც სპეცსამსახურების კაბინეტებში იწერება!

ყოფილი პირველი ლედის თვითლუსტრაცია

„დამიჯერეთ, მე აქ არ ვიდგებოდი, თუ დარწმუნებული არ ვიქნებოდი, რომ ჩვენ ძალადობას ნამდვილად აღარ გავიმეორებთ“, — ეს „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატმა სანდრა რულოვსმა კორცხელში განაცხადა.

ნაციონალური მოძრაობის მხრიდან სანდრა ელისაბედ რულოვსის დეპუტატობის კანდიდატად დასახელებამ, საქართველოს მოქალაქეებში საკმაოდ არაერთგვაროვანი ვნებათაღელვა გამოიწვია. საზოგადოების დიდი ნაწილი განსაკუთრებით იმან აღაშფოთა, რომ ყოფილი პირველი ლედი კენჭს სამეგრელოში, კერძოდ, ზუგდიდის რაიონში იყრის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ფრაზა, რომელიც წერილის დასაწყისში მოვიტანე, აღიარებითი ჩვენებაა. იმ უამრავი დანაშაულის გაცხადებაა, რასაც ნაციონალური მოძრაობა დეპუტატობის კანდიდატის მეუღლის მეთაურობით სჩადიოდა.

„მე ძალიან ხშირად ვესაუბრებოდი მიშას, რომ უნდა ვიცოდე, თვალებში შეგხედავ-მეთქი და ნამდვილად უნდა ვიცოდე, რომ რაც ცუდი მოხდა, აღარ განმეორდეს. დამიჯერეთ, მე აქ არ ვიდგებოდი, თუ დარწმუნებული არ ვიქნებოდი, რომ ჩვენ ძალადობის გამეორება ნამდვილად არ გვექნება. მე მინდა ჩემი პოლიტიკური ბრძოლა მივუძღვნა იმ ადამიანებს, ვინც ქვეყანას თავი შესწირა“ (სტილი დაცულია).

ქალბატონ კანდიდატს ყოვლად მიუკიბ-მოუკიბავად მინდა ვუთხრა, რომ:

1. თქვენ უკვე ძალადობთ ქალბატონო სანდრა! ძალადობთ იმით, რომ თქვენ და ის ხალხი, ვინც გვერდით გიდგანან (ბაქრაძე, ბოკერია დ.ა.შ.), იმის ნაცვლად, რომ მუხლებზე დაჩოქილი მიდიოდეთ ყველა ოჯახთან და ბოდიშებს იხდიდეთ, ისევ ხელისუფლებაში მოსვლას აპირებთ!!!

2. მიშას თვალებში ამოიკითხეთ, რომ ცუდი აღარ განმეორდება? ნარკომანის და სექსუალური მანიაკის თვალებში ამოიკითხეთ? ჩიკატელოს და აიხმანის რეინკარნაციის თვალებში ამოიკითხეთ? სინანული არ ამოიკითხეთ? ვერც ამოიკითხავდით, იმიტომ, რომ თქვენ თვითონ ზუსტად მაგათნაირი ხართ!

3. ვის უძღვნით თქვენს პოლიტიკურ ბრძოლას? გირგვლიანს თუ თაკო სალაყაიას? ბუტას თუ მის მკვლელ პოლიციელებს? ვაზაგაშვილს თუ ფირცხალავას? ბესო ხარძიანს თუ თქვენს ქილერებს? სულხან მოლაშვილს თუ ბოკერიას? თქვენი უაზრო ავანტიურის გამო დაღუპულ მებრძოლებს და მოსახლეობას თუ „ცხინვალელ“ გენერალ ბორისოვის ლაქიებად ქცეულ თქვენს გუბერნატორებს? ვის თვლით იმ ხალხად, ვინც საქართველოს თავი შესწირა?

თქვენ უფრო ცინიკოსი და დაუნდობელი ხართ, ვიდრე ნებისმიერი ქილერი! ხართ, იმიტომ, რომ ღიმილით, დათაფლული ენით, გულის ამაჩუყებელი აქცენტით დღესაც ხოცავთ, სარჩოს არ-თმევთ საქართველოს მოსახლეობას!!!!

ვიღაცამ შეიძლება მითხრას, ქალს ასე უკმეხად რატომ მიმართავო. გეტყვით, რომ მე პირველ რიგში მივმართე ნარკომანის, სექსუალური მანიაკის, მკვლელის და სხვა უამრავ დანაშაულში ბრალდებულის (ეჭვმიტანილის კი არა, ბრალდებულის) იდეების გამგრძელებელს! ახლა კი მივმართავ არც მეუღლეს, არც დედას, არც ჯანდაცვის მუშაკს, მივმართავ ადამიანს, რომელიც პოლიტიკაში აპირებს მოსვლას!

წაკითხული მაქვს თქვენი „იდეალისტის ნაამბობი“ (სხვათა შორის, ის წიგნი მეგობარმა მათხოვა და მასზე თქვენი ხელმოწერაც იყო) და მე — იდეალისტი, მოგმართავთ როგორც იდეალისტს: — გადადგით ისეთი ნაბიჯი, როგორიც ნამდვილ იდეალისტს შეჰფერის და თქვენ შეხვალთ ისტორიაში!

„მე ვფიქრობ, რომ ჩემი ქმარი ზუსტად ის ადამიანია, ვისიც ხალხს უნდა ეშინოდეს. აქ არ არის ლაპარაკი პირდაპირ ფაშიზმზე ან რაღაც მაგდაგვარზე. თუ ვინცობაა მან გამოავლინა რაიმე სახის ექსტრემალური თვისებები, მაშინ მას ამის შესახებ მიუთითებენ“. ეს დანიის ერთ-ერთი გამომცემლობის მიერ თქვენთან ჩაწერილი ინტერვიუს ფრაგმენტია ქალბატონო სანდრა, დანიელმა ჟურნალისტმა არ გკითხათ, სამაგიეროდ მე გეკითხებით: — ვინ მიუთითებს — ბოკერია? მერაბიშვილი? ახალაია? თქვენი ყავარჯნიანი მხარდამჭერი? ქილერები?

გადადგით ის ნაბიჯი, რომელიც ცხოვრებაში ერთხელ ეძლევა ადამიანს და განასხვავებს ევა ბრაუნისა და მაგდა გებელსისგან. გამოდით ხალხის წინაშე და ბოლომდე ისაუბრეთ იმ საშინელებების შესახებ, რასაც ნაციონალები სჩადიოდნენ და რაც თქვენ ყველაზე კარგად იცით. თქვით და ნამდვილად შეხვალთ ისტორიაში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამას არ იზამთ.

არ წახვალთ ამაზე, რადგანაც თქვენი პორტრეტი შესანიშნავად დახატა მე-4 და მე-5 მოწვევების პარლამენტის წევრმა ხათუნა ხოფერიამ:

„სანდრა — ქალი, რომლის პირადი ცხოვრება სპეცსამსახურების კაბინეტებში იწერება!!!!

საქართველოს უთავმოყვარეო და ღირსებააყრილი პირველი ლედი!

ქალი, რომელიც თავად იყო საკუთარი ქმრის ძალადობის მსხვერპლი, ქალი, რომელსაც მრავალჯერ ჰქონდა სურვილი გაქცეოდა მიშას აღვირახსნილობას, ახალგაზრდობაში აღებულ ვალდებულებებს და მშობლების კალთას შეფარებოდა!

ის მიდიოდა და მას აბრუნებდნენ... ისიც ბრუნდებოდა ... ასეთი იყო თამაშის წესები! ბრუნდებოდა კარგად დამუშავებული სცენარით და ერთი კითხვით — ისევ ჩაიფსი, მიხეილ?....

სანდრას ახლანდელი დაბრუნება, სპეცსამსახურის მიერ დაწერილი მისი ცხოვრების ერთ-ერთი უმძიმესი სცენარის ნაწილია. **„პოლიტიკური ტრაგიკომედია მეგრულად“ — ასე შეიძლება ეწოდოს იმას, რაც ახლა ხდება ზუგდიდში!!!!!!!!.....**

კომედიაა — უნიჭოდ შესრულებული მეგრული სიმღერები. დაზეპირებული, კონტექსტიდან ამოვარდნილი მეგრული ფრაზები, ამერიკელი ტაქსისტის ისტორია, მიშასთვის თვალებში ჩახედვა და რაც მთავარია, აღიარებაშეფარული წინასაარჩევნო დაპირება — ძალადობას აღარ გავიმეორებთ!!!

ტრაგედიაა — სანდრას გუნდრუკი და როკვა ყავარჯნებიანთან ერთად მეგისის ნატერფალზე! ტაში და ყიჟინა დაშანტაჟებული, გაუპატიურებული, ნაცემი ასობით ზუგდიდელის მხრიდან! სპეცსამსახურების მიერ გავრცელებული ხმები რულოვსის გამარჯვების შესახებ! შეშინებული და გაყურსული ადგილობრივი ხელისუფლება! პასუხგაუცემელი შეკითხვა — გარიგდნენ???...

სანდრა რულოვსის ცხოვრება საშინელებათა ჟანრს მიეკუთვნება!!!

„ცხოვრება“, რომელიც სპეცსამსახურების კაბინეტებში იწერება!!!

უფრთხილდით, ის ღირსებაშელახული, თავმოყვარეობადაკარგული, მეობაწართმეული საწყალი ქალია, რომელიც აუცილებლად ეცდება ანგარიშის გასწორებას იმ საქართველოსთან, რომელმაც ის საკუთარი ქმრისგან არ დაიცვა!!!“

მეტს ნამდვილად ვერაფერს დავამატებ.

გია გაბრიჭიძე

ნინო ბურჯანაძე!

ბურჯანაძე საპროცედურო კომიტეტის წევრებს სისხლის სამართლის დანაშაულში სდებს ბრალს

ნინო ბურჯანაძე — დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა პარლამენტის საპროცედურო კომიტეტს კიდევ ერთხელ მიმართა, რომ დროულად შეასრულონ საკუთარი ვალდებულებები. მისი თქმით, როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომა არ შედგა და შესაბამისად კვლავ არ ეძლევათ შესაძლებლობა, რომ დაიწყონ ხელმოწერების შეგროვების პროცესი საქართველოს უბლოკო სტატუსის თაობაზე.

„მინდა, კატეგორიულად მივმართო პარლამენტის წევრებს, რომლებიც მთელი ამ წლების განმავლობაში მოსახლეობის ხარჯზე მრავალნულიან ხელფასებს იღებდნენ. თქვენი პირველი მოვალეობა ბატონებო და ქალბატონებო, არის პარლამენტის და კომიტეტის სხდომებზე დასწრება. ნუ გვიშლით ხელს! საპროცედურო კომიტეტის წევრები, თხუთმეტი ადამიანიდან რვა „ქართული ოცნების“ წევრია. შესაბამისად, „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში ნამდვილად უნდა შეაგროვოს კვორუმი, რომელიც ჭირდება ჩვენი ხელმოწერების შეგროვებისათვის შესაბამისი პროცედურების დაწყებას“ — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი განცხადებით, ჩნდება სერიოზული ეჭვი, რომ ეს არის პოლიტიკური პროცესი.

„ერთხელ ჩავარდა ბიუროს სხდომა, პრაქტიკულად უკვე მესამე კვირაა, ჩვენ არ გვეძლევა შესაძლებლობა მუშაობის დაწყებისა, ამავდროულად მინდა, ვთქვა, რომ ის, რასაც ახლა საქართელოს პარლამენტის წევრები აკეთებენ, არის უბრალოდ სისხლის სამართლის დანაშაული. ეს არის სისხლის სამართლის კოდექსის 166 მუხლი, სადაც პირდაპირ წერია, რომ პოლიტიკური პარტიისათვის საქმიანობაში ხელის შეშლა, მათ შორის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ეს არის დანაშაული. დიახ, ბატონებო და ქალბატონებო, თქვენ თქვენი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჩვენ ხელს გვიშლით პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებაში. პარტიას ხელს უშლით საარჩევნო კამპანიის წარმოებაში.

მესმის, რომ თქვენ ამ ინიციატივის ძალიან გეშინიათ იმიტომ, რომ ძალიან კარგად იცით, რომ საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი მხარს უჭერს სწორედ უბლოკო სტატუსს და იმას, რომ არცერთი სახელმწიფოს, მათ შორის არც რუსეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე აღარ იდგეს.

ჩვენ ამას ყველა შემთხვევაში მივაღწევთ, ჩვენ გავამთლიანებთ სამშობლოს, ჩვენ გავაძლიერებთ ქვეყანას, მაგრამ თქვენი ხელის შეშლის გამო ამ პროცესის დაწყება გვიჭიანურდება. შეასრულეთ თქვენი უფლება-მოვალეობა, მიბრძანდით პარლამენტში და მოგვეცით საშუალება, დავიწყოთ ხელმოწერების შეგროვება უბლოკო სტატუსის თაობაზე“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ახალი ხიდები ბოსფორზე

სტამბოლში, ბოსფორზე მესამე ხიდის მშენებლობა 27 თვეში დასრულდა და მისი ოფიციალური გახსნა 26 აგვისტოს იგეგმება. გეგმის თანახმად, მშენებლობის დასრულება 36 თვეში უნდა დასრულებულიყო. ხიდის მშენებლობა თურქეთის მთავრობას 4 მლრდ დოლარამდე დაუჯდა. თავად ხიდის სიგრძე 1,4 კმ-ია. ის უკვე არსებული 2 ხიდის სამხრეთითაა განთავსებული და თურქეთის მეგაპოლისის აზიურ და ევროპულ ნაწილებს აკავშირებს. ახალი ხიდი იმ დიდი პროექტის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ახალი აეროპორტის მშენებლობასაც ითვალისწინებს.

ქართული ეკონომიკური სასწაული



„ქართული სასწაული უკვე თბილისის შუაგულიდან, „სოკოების ქვეშ“ იწყება: „სოკოები“ – ასე უწოდებს ხალხი მდინარე მტკვრის ნაპირზე აგებულ საჯარო სერვისის დაწესებულებას, ანუ იუსტიციის სახლს, რომელიც იტალიელმა არქიტექტორებმა დააპროექტეს. შენობის სახურავს სოკოსებური ფორმა აქვს და ტემპერატურის მატების დროს მთელ კონსტრუქციას ჩრდილავს. შენობაში ელეგანტურფორმიანი ქალიშვილები მუშაობენ. ვისაც ლოდინი უწევს, მას ყავას და სადილს სთავაზობენ...“, – ასე იწყება გერმანულ გაზეთ ველტში“ გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც საქართველოში ბოლო ათწლეულის მანძილზე მიღწეული პროგრესია გადმოცემული, განსაკუთრებით ეკონომიკის ლიბერალიზმისა და კორუფციასთან, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის სფეროში (ავტორი – ედუარდ შტაინერი).

გთავაზობთ სტატიის რეზიუმეს:

კავკასია ევროპელებს, ჩვეულებრივად, ახლო წარსულში ველურ მხარედ მიაჩნდათ. ომი და კორუფცია, მაფია და ქვის ხანის მენტალიტეტი, ბიუროკრატიის ჭაობი და პატრიარქალური ტრადიციები – აი, ასეთი სახით ჰქონდათ წარმოდგენილი მათ შავ და კასპიის ზღვებს, კავკასიის ქედის ხუთიათასმეტრიან მწვერვალებს შორის მოქცეული ქვეყანა. ეს შემთხვევითი ნამდვილად არ არის: საქართველოს რამდენიმე წლის წინანდელი ისტორია ამგვარი წარმოდგენების საფუძველს ნამდვილად იძლეოდა.

საქართველომ, რომელიც ძირითადად ავტორიტარული და მუსულმანური ქვეყნებითაა გარემოცული, მხრები შეარხია და ძველი ტვირთები მოიშორა: **კორუფცია პოლიციაში? ან იუსტიციის და მმართველობის ორგანოებში? არა, ეს ქართველებისთვის უცხოა. მაფიოზებმა საქართველო ან უკვე დატოვეს, ან ციხეებში სხედან. სახელმწიფომ ლიბერალური ეკონომიკური კანონმდებლობა დანერგა, რომლის მიზანს მოსახლეობისადმი მომსახურება წარმოადგენს,** – წერს „ველტის“ კორესპონდენტი და გერმანელ მკითხველს ვრცლად აცნობს, თუ როგორ ხდება ელექტრონული წესით ბიზნეს-კომპანიის ჩამოყალიბება და, საერთოდ, სამეწარმეო საქმიანობის დაწყება საქართველოში. **„ადამიანები მიხვდნენ, რომ თავისი ბედი ძირითადად თვითონ უნდა გამოსჭედონ. სახელმწიფო მათ ეხმარება, მაგრამ საქმიანობაში არ ერევა“,** – ამბობს თბილისელი ეკონომიკის პროფესორი ლევან ნებიერიძე გერმანელ ჟურნალისტთან საუბარში.

„საქართველოში კორუფციის ძალიან მაღალი დონე არსებობდა. ქართველმა მაფიოზებმა და, საერთოდ, ორგანიზებული დამნაშავეობის წარმომადგენლებმა ევროპასაც კი მიაღწიეს. ფრანკფურტელ ავტორს იურგენ როტს თავის დოკუმენტურ წიგნში აღწერილი აქვს სცენა, თუ როგორ უსწორდებოდნენ ერთმანეთს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ქართველი განგსტერები, 1996 წლის 11 ივლისს, როცა ერთ-ერთი ქართველი „ნათლიმამა“ დავით სანიკიძე მოკლეს. „თქვენ რომ ათი წლის ბიჭებისთვის გეკითხათ, ვინ გინდა გამოხვიდეო, ისინი გიპასუხებდნენ, რომ კანონიერი ქურდობა სურთ, – ამბობს ლევან ნებიერიძე, – გოგონებს კი საკუთარი თავი განგსტერების ცოლებად ჰქონდათ წარმოდგენილი“.

„სასწაულია, რომ დღეს ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, ყველაფერი კი 2003 წლის ბოლოს მომხდარი „ვარდების რევოლუციით დაიწყო“, – აღნიშულია სტატიაში, რომელიც მკითხველს აცნობს „ახალგაზრდა ქართველი პოლიტიკოსის მიხეილ სააკაშვილის“ მიერ გატარებულ რეფორმებს. მართალია, პრეზიდენტს ქვეყნის მართვაში ავტორიტარული გადახრები ჰქონდა, მაგრამ იმავდროულად მოახერხა სისტემური რეფორმების გატარება. პრეზიდენტმა გააძლიერა სახელმწიფო სტრუქტურებიც, გარდაქმნა პოლიცია, შემოიღო „ნულოვანი ტოლერანტობა“ დამნაშავეთა მიმართ, თუმცა... მართვის მისეული მეთოდები იმდენაც ძალადობრივი აღმოჩნდა, რომ 2013 წლისათვის მიხეილ სააკაშვილი (და მისი პარტია), ხალხის ნებით, ხელისუფლებას ჩამოაშორეს“.

პუბლიკაციაში განხილულია ქართული მაფიოზური დაჯგუფებებისა და ე.წ. „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლის შედეგები: ბევრი განგსტერი საპყრობილეში ჩასვეს, ბევრმა კი თავი რუსეთს, უკრაინას და ევროპის ქვეყნებს შეაფარა. **„დღეს საქართველოს ქუჩებში იგივე სიტუაციაა, როგორიც ბერლინში. ავტომანქანის ბოლო გატაცება რამდენიმე წლის წინ აღირიცხა“.**

საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურების შეფასებით, ეკონომიკის სფეროში საკანონმდებლო კლიმატი ჯერჯერობით პოზიტიურია. მართალია, წინა წლებში საქართველოს მე-18 ადგილი ეკავა ბიზნესის დაწყების სიმარტივის ინდექსის მიხედვით (წინ უსწრებდა საფრანგეთს და გერმანიასაც კი), მაგრამ ქვეყანა მაინც ინარჩუნებს 24-ე ადგილს, რაც დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოსათვის მიუღწეველი ოცნებაა, – აღნიშნულია სტატიაში.

რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, ავტორი წერს, რომ მასზე ნეგატიური გავლენა ნავთობზე ფასების დაკლებამ მოახდინა, მაგალითად, მეზობელ აზერბაიჯანში და სხვა ქვეყნებში. თუ ადრე ევროპაში ცნობილი რუსთავის ავტომობილების ბაზრობაზე 5 ათასამდე ავტომანქანა იყიდებოდა, დღეს ვაჭრობა თითქმის 50%-ით დაეცა. გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის შეზღუდვამ (ემბარგომ) და 2008 წელს მომხდარმა ხუთდღიანმა ომმა: თუ 2008 წლის აგვისტომდე წარმოების ზრდის ტემპები 10% აღწევდა, გასულ წელს მხოლოდ 2,8%-იანი მატება აღირიცხა. რუსეთის მიერ გამოცხადებულმა ემბარგომ ბევრი მეწარმე გასაღების ახალი ბაზრების ძიებისკენ უბიძგა. როგორც სტატიის ავტორთან საუბარში კახელი მეღვინე ალექსი შალოშვილი ამბობს (იგი ყოველწლიურად 150 ათას ლიტრ ღვინოს ამზადებს), დასავლურ ბაზარზე რაც შეიძლება მეტი ქართული პროდუქცია უნდა გავიდეს: **„ახლახან გერმანიიდან ჩემი ღვინოების კლიენტებისაგან სამადლობელი წერილი მივიღე“,** – ამბობს ალექსი შალოშვილი. იქვე „ველტის“ კორესპონდენტი გადმოსცემს ქართული ღვინოების მომზადების წესს, რომელიც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში შედის, ღვინის ექსპორტის გეოგრაფიას (ყველაზე მეტი რუსეთში გადის).

საქართველოს ეკონომიკისთვის ტურიზმი ფრიად მნიშვნელოვანი დარგია. უცხოელ ტურისტთა რაოდენობა კავკასიის ამ ქვეყანაში ყოველწლიურად მატულობს და მიმდინარე წელს უკვე 6 მილიონს მიაღწია, რაც საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლების 12%-ს ნიშნავს. სხვათა შორის, ტურისტებში ყველაზე მეტი რუსია: საქართველომ თავის ყოფილი მტრის მოქალაქეებს უვიზო რეჟიმი დაუწესა. **„ჩვენ გულღვარძლიანები არ ვართ,** – ამბობს კახელი მეღვინე ალექსი შალოშვილი, – **ჩვენთვის სტუმარი ღვთისაა, ყველას სიხარულით ვხვდებით“.**

ედუარდ შტაინერი,
„Die Welt“ (გერმანია)

გზის მოწყობის ინოვაციური მეთოდი

საქართველოში გზის ახალი მეთოდით მოწყობის ექსპერიმენტული სამუშაოები დაიწყო. გზის საფუძვლის ინოვაციური მეთოდით მოწყობის სამუშაოები პირველად ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზის 300-მეტრიან მონაკვეთზე (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი) მიმდინარეობს. ექსპრიმენტულ მეთოდით გზის რეაბილიტაცია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი სეთურიძემ დაათვალიერეს.

ახალი მეთოდით გზის საფუძვლის მოწყობა ერთ კვადრატულ მეტრზე 5-6 დოლარი ჯდება, რაც თითქმის ორჯერ იაფია კლასიკურ მეთოდთან შედარებით. აღნიშნულ მეთოდს აქტიურად იყენებენ ევროპაში. მეთოდი უკვე აპრობირებულია აზერბაიჯანშიც. გარდა იმისა, რომ ინოვაციური მეთოდი გზის სწრაფად და იაფად რეაბილიტაციის საშუალებას იძლევა, ამ ფორმით მოწყობილი გზის საფუძველი უფრო მდგრადი და მყარია.

გზის ექსპერიმენტული მეთოდით მოწყობის სამუშაოებს აზერბაიჯანული კომპანია „აგეტე“, უსასყიდლოდ ახორციელებს.

ფსტას ბაღები იორმუღანლოში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოში ირანელმა ბიზნესმენებმა ფსტას (ლათ. Pistacia) ბაღები გააშენეს. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ლევან დავითაშვილმა სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად ორი კომპანიის „TR Georgia Project 2“ და „Aric Group“-ის ახლადგაშენებული ბაღები დაათვალიერა და კომპანიების ხელმძღვანელ პირებს შეხვდა.

მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრეს. როგორც ირანელმა ბიზნესმენებმა აღნიშნეს, კომპანიები სხვადასხვა მიმართულებით მუშაობენ. მათ გაშენებული აქვთ ვენახი, თხილის ბაღები და სხვადასხვა სახის ხილი. განსაკუთრებული ყურადღება კი, ფსტას ეთმობა, რადგან საქართველოსთვის ის ახალი კულტურაა, შესაბამისად მისი წარმოების განვითარებისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან ხელშეწყობა მნიშვნელოვანია.

„ძალიან საინტერესო წამოწყება საქართველოში ისეთი კულტურების გაშენება,რომელიც ახალია და არ არის ადაპტირებული ჩვენი ქვეყნის გარემო პირობებთან, მაგრამ ძალიან დიდი პოტენციალი გააჩნია როგორც შიდა ბაზარზე, ისე საექსპორტო კუთხით. უნდა აღინიშნოს, რომ ფსტა – კაკლოვანი კულტურა ნელ-ნელა სულ უფრო პოპულარული ხდება. ჩვენი სურვილია, რომ მისი ადაპტაცია საქართველოში პროფესიონალურ დონეზე მოხდეს, რათა მიღებული შედეგიც უფრო ეფექტიანი იყოს“, – აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

ახლო მომავალში, კომპანიები „TR Georgia Project 2“ და „Aric Group“ მეურნეობის ტერიტორიაზე თხილის და ფსტის გადამამუშავებელი ქარხნების აშენებას გეგმავენ. წარმოებული პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზეც გაიყიდება და ექსპორტზეც გავა.

ნორიოსხევი მზიურელებს საფრთხეს ვერ შეუქმნის

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი სოფელ ნორიოში, მდინარე ნორიოსხევის ნაპირსამაგრი სამუშაოების ამსახველ ფოტომასალას გთავაზობთ.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოში (მზიურის დასახლება) მდ.ნორიოსხევის ნაპირსამაგრი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. მდ.ნორიოსხევზე, ბოლო წლების განმავლობაში წყალმოვარდნებისას იტბორებოდა ნაპირი, რაც აზიანებდა მდინარის ნაპირზე განთავსებულ სააგარაკე, საკარმიდამო ნაკვეთებსა და შენობა-ნაგებობებს. ნაპირსამაგრის პროექტით გათვალისწინებულია 132 მეტრი სიგრძის ნაპირდამცავი ბეტონის კედლის მოწყობა მდინარის ორივე ნაპირზე. პროექტის განხორციელების შედეგად, სრულად მოგვარდება პრობლემა და მიმდებარე ტერიტორია დაცული იქნება წყალმოვარდნებისგან. სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 222 304 ლარს შეადგენს. პროექტი მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

მემორიალი უნდა გადარჩეს

საუკუნეს სძინავს მრავალს
შენს ძველ ქვებში, მზის ქალაქო,
ქართველის ფუძის ჩამყრელი ხარ,
დღესაც არ ხარ უბარაქო...
გიორგი ლეონიძე
(ლექსიდან – „ქუთაისს“)

ქუთაისის მემორიალი არა მხოლოდ შემოქმედებითი წარმატებაა, არამედ ნამდვილი მხატვრული აღმოჩენა...


მემორიალის საზეიმო გახსნა, 1981 წ. 13 ივნისი

„მემორიალი „დიდება შრომას“ საინტერესოაა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ოსტატურადაა შესრულებული და წარმოადგენს ხელოვნების შესანიშნავ ნაწარმოებს, არამედ იმიტომაც, **რომ მას საფუძვლად უდევს ახალი, აქამდე უცნობი და მონუმენტისთვის განსაცვიფრებელი პრინციპი. ხუთი ათასი წლის განმავლობაში, კაცობრიობას არასდროს შეუქმნია მონუმენტი, რომელიც იცვლებოდა დროში.** ქუთაისმა უცებ მიიღო ეს ახალი შემოქმედებითი იდეა, გახდა ფუძემდებელი დინამიური მონუმენტისა მონუმენტურ ხელოვნებაში. ქუთაისის მემორიალი არა მხოლოდ შემოქმედებით წარმატებაა, არამედ ნამდვილი მხატვრული აღმოჩენა“. ***ოლეგ შვიდკოვსკი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, აკადემიკოსი. მონოგრაფია „Гармония взаимодействия“ 1984 წ.***

ამდაგვარი აღფრთოვანებული რეცენზიები მრავლად იყო გასული საუკუნის 80-იანი წლების ქართულ, რუსულ და უცხოურ პროფესიულ ჟურნალებში. ოფიციალურმა აღიარებამაც არ დააყოვნა. მემორიალი აღინიშნა არა ერთი საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური პრემიით. ავტორებს, არქიტექტორებს ვახტანგ დავითაიას და შოთა ბოსტანაშვილს მიენიჭათ საქართველოს სახელმწიფო პრემია. იმ პერიოდის ახალგაზრდა არქიტექტორთა საკონკურსო პროექტებსა და დათვალიერებაზე წარმოდგენილ ნამუშევრებში, არცთუ იშვიათად „ჟონავდა“ ქუთაისის მემორიალის „ინტონაციები“. მემორიალი ექსპონირებული იყო 30-მდე საერთაშორისო გამოფენაზე.

დღეს მემორიალი სავალალო მდგომარეობაშია. ექსპოზიციიდან მოიპარეს გამოჩენილი მოქანდაკის ლ. ბარანოვის ულამაზესი კომპოზიცია „გაზაფხული“. მისი პიედესტალი 15 წელია, დგას უქანდაკებოდ, დაშლილია იატაკებისა და მოპირკეთების ფილები, არ მუშაობს სპეციალური განათება, რომელიც საერთო მხატვრული ჩანაფიქრის განუყოფელი ნაწილია, კედელზე მისხურებულია საღებავები, მემორიალი ავტოსადგომადაა გადაქცეული. ყველაფერი ეს ხდება ქალაქის ცენტრში, ქუთაისის მერიის გვერდით. ამდაგვარი მდგომარეობით დისკრედიტებულია არა მხოლოდ მემორიალი, არამედ ქალაქიც. **უნდა აღინიშნოს: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ორჯერ „შეახსენა“ ქუთაისის მერიას მემორიალის რეაბილიტაციის აუცილებლობის შესახებ.**

მქონდა პატივი ვყოფილიყავი მიწვეული მემორიალის გახსნაზე. კარგად მახსოვს 1981 წლის 13 ივნისი – ულამაზესი დღესასწაული, დღესასწაული არა მხოლოდ ქუთაისის, არამედ მთელი საქართველოსი. მახსოვს ის აღტაცება, ელდა, რასაც იწვევდა ქანდაკებებიდან სუდარის ჩამოხსნა.

ამ ორიოდე კვირის წინათ დასავლეთისკენ მიმავალმა, რამდენიმე წუთით შევჩერდი მემორიალთან. ერთმანეთის მიყოლებით მოიყვანეს ორ უცხოელ ტურისტთა ჯგუფი. იღეს და იღეს ფოტოები. ნეტა რა გადაიღეს?

– რა ხდება? ჩვენ ვთხოვეთ კომენტარი მემორიალის ავტორს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს, ბ-ნ **ვახტანგ დავითაიას.**

– დიდი მადლობა ამ საკითხით რომ დაინტერესდით. მემორიალის რეაბილიტაციის და ექსპოზიციის განახლების საკითხს ავტორები ქ. ქუთაისის სხვადასხვა დროის ხელმძღვანელებთან 2006 წლიდან ვაყენებდით. წერილების, მიმართვების და ოფიციალურ პირებთან შეხვედრების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ვსარგებლობ შემთხვევით, მსურს, საზოგადოებას მოვახსენო ჩემი პოზიცია მოარულ, დილეტანტურ ურაპატრიოტულ ხმებზე, რომელიც წლების მანძილზე მუსირებს მემორიალთან დაკავშირებით, რაც, ჩემის აზრით, გარკვეულწილად აყოვნებს მემორიალის რეაბილიტაციას და ახალი ვერნისაჟის მოწყობას.

მემორიალი „დიდება შრომას“, თითქოს სოციალისტური საზოგადოების მეხოტბე და იმ პერიოდის სიმბოლოა. **ეს სრული აბსურდია.** მემორიალი „დიდება შრომას“ ზედროული და უნივერსალურია და არ გამოხატავს კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური პერიოდის კონიუნქტურას, ის ისეთივე მარადიული და ზეპოლიტიკურია, როგორიც „ქართველის დედა“, „დედა-ენა“, „მედეა“, „ალგეთის ლეკვები“, „დავით აღმაშენებელი“, ქუთაისში, თბილისში, „ალგეთის ბაზილიკა“. როგორიც იყო ქუთაისის „გამარჯვების მემორიალი“. მემორიალი ქანდაკების თეატრია, დღესასწაულია, ზეიმია, ქუთაისურია – ღია, გახსნილი, მიმპატიჟებელი, სტუმარ-მოყვარე.

მემორიალის დასახელება „დიდება შრომას“ ეკუთვნის იმ პერიოდის ქუთაისის ქალაქკომის პირველ მდივანს ნუგზარ რუხაძეს, რაც გონივრული, ტაქტიკური სვლა იყო მემორიალის „ცენტრიდან“ დაფინანსების მისაღებად. მემორიალი რომ „სოციალისტური შრომის“ საგალობელი არ არის, ამას ადასტურებენ ის ქანდაკებები, რომლებიც გამოფენილი იყო I ვერნისაჟზე (1981-1984 წ. წ.), ასევე დღეს გამოფენილი კომპოზიციები. ზოგიერთ „ობივატელს“, თურმე, აღიზიანებს კედელი ქუთაისელი „სოციალისტური შრომის გმირების“ გვარ-სახელით. სწორედ ეს მოკრძალებული კედელი იყო „შეუვალი არგუმენტი“ ცენტრიდან დაფინანსებისა. რეაბილიტაციის დროს შესაძლებელია ამ კედელმა სხვა ინფორმაციაც „დაიტიოს“, მაგალითად ამ ადგილის ისტორიის. თუმცა, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ისტორიის გადაკეთებისა დროის კონიუნქტურით.

უმთავრესი, რამაც დღემდე (7 წელი) დააყოვნა მემორიალის რეაბილიტაცია და ვერნისაჟები და დღესაც შემაფერხებლად გვევლინება, ესაა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექტორის, პროფესორ ო. ლანჩავას წერილი, ქუთაისი-გაენათის მიტროპოლიტის მეუფე კალისტრატესადმი. (წერილი 304-122, 02.07.09), სადაც ის სთავაზობს 1829 წელს აგებული და 1944-46 წლებში ადმინისტრაციული შენობის (დღევანდელი მერია) აგებასთან დაკავშირებით დანგრეული „მთავარანგელოზის“ ბაზილიკის აღდგენას, **„ხოლო ტერიტორიაზე არსებული სოციალისტური შრომის სადიდებლად შექმნილი მემორიალი გადატანილ იქნას ქალაქის სხვა უბანში“.** მე, როგორც ერთ-ერთ ავტორს, მადლობის მეტი რა მეთქმის, იმის გამო, რომ ბ-ნი ლანჩავა მემორიალის გადატანას გვთავაზობს და არა აფეთქება-განადგურებას, როგორც ეს მოხდა ქუთაისის „გამარჯვების მემორიალის“ შემთხვევაში. რაც შეეხება ცინიკურ **„სოციალისტური შრომის სადიდებლად შექმნილ მემორიალს“**, ამაზე პასუხი მე ზემოთ გავეცი.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ „მთავარანგელოზის“ ბაზილიკა არ იდგა მემორიალის ადგილას და არც მის სიახლოვეს. დიუბუა დე მონპიერეს გეგმის მოშველიება უსაფუძვლოა. ის ზოგადია, მისი სიზუსტე, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება იყოს ერთი ათთან. **ზუსტი და ობიექტურია ის, რომ მშენებლობის პროცესში ქვაბულების ამოღებისას ეკლესიის არავითარი „ნაშთები“ არ აღმოჩენილა. ამას დაადასტურებენ ქუთაისის მერის იმჟამინდელი მოადგილე, მემორიალის მშენებლობის კურატორი, ბ-ნი ალეკო ძოწენიძე, კეთილმოწყობის სამსახურის იმჟამინდელი მთავარი ინჟინერი გივი დიანოსაშვილი, იმჟამინდელი მთავარი არქიტექტორი ბ-ნი სულიკო გაგუა და მე – ადამიანი, რომელიც ყოველ კვირას ჩადიოდა ქუთაისში საავტორო ზედამხედველობისათვის.** ბ-ნი ლანჩავას სამსახური ამ ადგილიდან ხომ 200-300 მეტრზეა, რატომ არ ატეხა განგაში მაშინ „სამართლიანობის აღსადგენად“?

ბატონ ი. ლანჩავას წერილს მოჰყვა დეკანოზ ნიკოლოზ ნიკოლაიშვილის და ეკლესიის მრევლის კოლექტიური წერილი ქ. ქუთაისის იმჟამინდელი საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარის, ბ-ნ გ. შავგულიძის მიმართ „ადრე არსებული მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის პირვანდელი სახით აღდგენის“ თხოვნით, თუმცა, „აღდგენისათვის“ არც ეკლესიის გრაფიკულ-ვიზუალური და არც ზუსტი ადგილი არ არსებობს. „ზუსტი ადგილისთვის“ კი მერიის შენობის მარცხენა ნაწილის დანგრევა გახდება საჭირო და არა მემორიალის გადატანა. მაგრამ ამის თქმას წერილის ავტორები ვერ ბედავენ.

მსოფლიო ისტორიამ არა ერთი მაგალითი იცის ისტორიული ძეგლის აღდგენა-ადგილმონაცვლეობისა. ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნის (XIX დინასტია) უნიკალური აბუ-სიმბელის სატაძრო კომპლექსი, ეგვიპტისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ასუანის კაშხალის მშენებლობასთან დაკავშირებით, 1020 ნაწილად დახერხეს და გადაიტანეს 60 მეტრით მაღალ ნიშნულზე. ამ აქციაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს წამყვანი ფირმები. ეს კოლოსალურ, მაგრამ აუცილებელ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. „მთავარანგელოზის“ ბაზილიკის შემორჩენილი მწირი მასალიდანაც ნათლად ჩანს, რომ მას არავითარი არქიტექტურულ-კულტურული ღირებულება არ გააჩნია. ის სასაფლაოს რიგითი ეკლესია იყო. მისი აღდგენა რადიკალურად შეცვლილ ურბანულ გარემოში სრული უგუნურება და ინფანტილიზმია, **მით უფრო, თუ კი ხელვყოფთ XX საუკუნის საერო არქიტექტურის საერთაშორისოდ აღიარებულ ნაწარმოებს, რომლის ადგილმონაცვლეობა სულ მცირე, 300-400 ათასი ლარი დაჯდება.** თუ ვინმეს მიაჩნია, რომ „მთავარანგელოზის“ ბაზილიკა უნიკალური ძეგლია და მისი „ხსოვნა“ აუცილებლად უნდა შეინახოს ისტორიამ, ის უნდა აიგოს სხვაგან, ვინაიდან ადგილის იდენტურობის არავითარი შანსი არ არსებობს.

ამ საკითხზე, 2011-12 წლებში, ორჯერ შევხვდი მეუფე კალისტრატეს, რამდენჯერმე მის წარმომადგენლებს. მათ გავაცანი ჩემი მოთხოვნები. ამის იქით ჩვენი ურთიერთობა არ წასულა.

აუცილებელია კვანძის გახსნა, დრო არ ითმენს. მინდა, ვირწმუნო, ამ პუბლიკაციას ყურადღებით გააანალიზებენ ქუთაისი-გაენათის ეპარქიის ის საეკლესიო მოღვაწეები, რომლებიც ამ საკითხით არიან დაინტერესებულნი, თავად მიტროპოლიტი, მეუფე კალისტრატე და გააკეთებენ ოფიციალურ განცხადებას.

ჩემი, როგორც პროფესიონალის და ავტორის პოზიცია ერთნიშნაა – მემორიალის ადგილმონავცვლეობა დაუშვებულია. სხვა ურბანულ სიტუაციაში ის უსათოდ დაკარგავს გარემოს და არქიტექტურის სიმბიოზის და თანამასშტაბურობის მაღალ ხარისხს.

ყველაფერთან ერთად ეს გაუგებარი იქნება არა მხოლოდ საერთაშორისო არქიტექტურული საზოგადოებისათვის, არამედ საქართველოს რიგითი მოქალაქეებისთვისაც, რომელთაც ჯერ კიდევ არ განელებიათ ქუთაისის „გამარჯვების მემორიალის“ აფეთქებით და დიდი მეფის, დავით აღმაშენებლის ძეგლის მისი ქალაქის გულიდან პერიფერიაში გადატანის შოკი.

მიმდინარე წლის 3 აგვისტოს მქონდა პატივი, შევხვედროდი იმერეთის მხარის გუბერნატორს, ბ-ნ **გივი ჭიჭინაძეს,** ქალაქის მერს, ბ-ნ **შოთა მურლულიას,** მერის მოადგილეს, ბ-ნ **კონსტანტინე ქავთარაძეს.** საუბარი იყო კონკრეტული, საქმიანი, ჩანდა საკითხის მოგვარების დიდი სურვილი. რაც მთავარია, მათმა წვდომამ მემორიალის კულტურულ-შემეცნებით მნიშვნელობაში იმედი ჩამინერგა.

ესაუბრა
მამუკა ვაშაკიძე

მემორიალის ფრაგმენტები

გამოჩენილი დეკორატორი და ლანდშაფტის არქიტექტორი



შალვა გიორგის ძე ისაკაძე მწვანე მშენებლობის და დეკორატიული მებაღეობის დეკორატორი, საბაღო-საპარკო ხელოვნების და ლანდშაფტის არქიტექტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დაიბადა ქ. თბილისში 1936 წელს.

შ. ისაკაძის მაღალ სპეციალისტად ჩამოყალიბებაში ზეგავლენა მოახდინა სოჭის დენდროპარკის დირექტორის მოადგილემ, პროფესორმა ალექსანდრე კოლესნიკოვმა, რომელიც იმ პერიოდში თბილისის დენდროპარკის დაპროექტება-მშენებლობას ხელმძღვანელობდა. 1958-1959 წლებში სადიპლომო პრაქტიკის ჩატარება პროფ. ა. კოლესნიკოვის ხელმძღვანელობით ხდებოდა, რომელიც სადიპლომო თემად: თბილისის „ზღვის კულტურის და დასვენების პარკის“ დამუშავება შესთავაზა. საერთო ფართობიდან 520 ჰა დიპლომანტ შ. ისაკაძეს 20 ჰა გამოუყო; ასევე 1958 წელს სოჭში ჩატარდა საკავშირო ყვავილების გამოფენა, სადაც შ. ისაკაძემ დენდროპარკის ექსპოზიცია გააფორმა და პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

1959 წლის 26 მაისს პირველად საქართველოში რესპუბლიკური ყვავილების დღესასწაული ჩატარდა, ხოლო ყვავილების გამოფენა დიდუბის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე მოეწყო. შ. ისაკაძეს კიროვის (კრწანისი) რაიონის ექსპოზიციის გაფორმება დაევალა, მან გამოფენის მხატვრულ კომპოზიციებში დეკორატიულ-ხალიჩოვანი მცენარეებისგან კიროვის ყვავილოვანი პორტრეტი განათავსა. იმ პერიოდში თემატური ყვავილნარები, დეკორატიული მცენარის საათი (გნომონი) და გამოჩენილ პირთა ყვავილოვან-პორტრეტული პალიტრები დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. ამიტომ შ. ისაკაძის მიერ გაკეთებულმა მცენარეულმა პორტრეტმა მნახველთა საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. იგი იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ ჟიურის წევრების: აკადემიკოს ნიკოლოზ კეცხოველის, ლანდშაფტ-არქიტექტორის ნელი ციციშვილის, აკად. ვასილ გულისაშვილის და სხვათა ყურადღება მიიპყრო. დეკორატორი შ. ისაკაძის პროფესიული ბედი აკად. ნიკო კეცხოველმა 1959 წელს შემოდგომაზე გადაწყვიტა, როდესაც იგი აგრონომ-დეკორატორად ცენტრალური ბოტანიკური ბაღის დეკორატიული მებაღეობის განყოფილებაში დაინიშნა და სამეცნიერო თემად: „საქართველოს ხალიჩოვანი მცენარეების ბიო-ეკოლოგიური თავისებურებების და ქართულ ჩუქურთმაში გამოყენების შესწავლა“ დაუმტკიცეს. აკად. ნ . კეცხოველის სამუშაო გეგმით და მეთოდიკით დისერტანტი შ. ისაკაძე 1964 წელს ამთავრებს სადისერტაციო ნაშრომს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით იცავს ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის დისერტაციას. ნიკო კეცხოველის უშუალო ხელმძღვანელობით და ძალისხმევით, რომელიც იყო მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, მომთხოვნი შ. ისაკაძე ხდება მწვანე მშენებლობის და დეკორატიული მებაღეობის დარგში პროფესიონალი მოღვაწე. ის ავტორია: ქუთაისში (1975), რუსთავში (1982), მცხეთაში (1985), თბილისში (1993-94) ყვავილების მეჯლისის აღდგენის ორგანიზატორი.

შალვა ისაკაძის ძირითადი ნამუშევრებია: ქართული ჩუქურთმის დანერგვა მწვანე მშენებლობაში (1989-63), საქართველოს ბაღის დაგეგმარება-გამწვანება მამაის ყორ-

შალვა ისაკაძე:

— იშვიათ პროფესიათა მწკრივში ლანდშაფტ-დეკორატორის სპეციალობა და თვით დეკორატორი ნაკლებად გვხვდება. იგი თითზეა ჩამოსათვლელი. მაინც ვინ არის დეკორატორი გამწვანებაში და ზოგადად ლანდშაფტურ არქიტექტურაში?

— დეკორატორი გამწვანების დარგში განსაკუთრებული პროფესიონალი სპეციალისტია. იგი უპირველესად ესთეტია, რათა შექმნას მშვენიერება, ხოლო სილამაზის შესაქმნელად საჭიროა განსაკუთრებული ნიჭი, მომზადება, აღქმის უნარი და ბუნებისადმი სიყვარული. გამწვანების სპეციალისტი თუ ერკვევა დეკორატიულ მებაღეობაში, დენდროლოგიაში და ზოგადად ბიოლოგიაში (ბოტანიკა), ეს არ ნიშნავს, რომ იგი მხოლოდ მეყვავილეა, დენდროლოგი ან ბოტანიკოსი — ეს დეკორატორის ხელობაა, ლანდშაფტ-არქიტექტორის განსაკუთრებული პროფილი, რომელიც გარემო სივრცეში, რთულ საორგანიზაციო პრობლემებს წყვეტს.

დეკაროტორი თუ ლანდშაფტ-არქიტექტორი თანდაყოლილი ხელოვანია, რომელსაც მის სულიერ შინაგან ბუნებაში ჩამოყალიბებული თვისებები ჩვევად კარნახობს, რომ ჰქონდეს: ბუნების კანონზომიერებათა მკაფიო აღქმის უნრი, უსაზღვროდ ფართო წარმოსახვის დიაპაზონი, სახვითი აზროვნება, მახვილი და ნატიფი დაკვირვება, მხედველობითი მეხსიერება და პროფესიონალური ორიენტაცია, არქიტექტორის გონება, ინჟინრისა და მშენებლის პრაქტიკული ჭკუა, შრომისმოყვარეობა. დეკორატორის სრულ პორტრეტში ჩასახული უნდა იყოს მცენარისა და პროფესიის განუსაზღვრელი სიყვარული.

— თქვენ, როგორც დეკორატორი სად და როდის დაიბადეთ?

როგორც მოქალაქე თბილისში ვარ დაბადებული, როგორც დეკორატორი კი, პატარა შესავალის გაკეთება მომიხდება. წარსულში ასირიელები, მოგვიანებით ჩინელები, იაპონელები, რომაელები — მებაღეობას აკუთვნებდნენ დიდ ხელოვნებას. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საბაღო-საპარკო ხელოვნების აკვანი ამ ქვეყნებში დაირწა. სწორად აქ ჩაეყარა ესთეტიკის მაღალ ხელოვნებას საფუძველი და თვით სილამაზის შემქმნელი-დეკორატორის დაბადების ადგილი აქ უნდა ვეძებოთ.

როგორც დეკორატორი 70 წლის წინათ ვეზიარე ამ პროფესიას და ხუთ ათეულზე მეტია, ვეცნობი ამ ქვეყნების ხელოვნებას, მათი ბრძნული ესთეტიკის კონცეფციებს და რაც უფრო მეტად ვწვდები ამ საინტერესო სამყაროს მეცნიერებას და ხელოვნებას, მით უფრო ვრწმუნდები, რომ კიდევ ბევრი მაქვს შესასწავლი და გასაკეთებელი. რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, ახლო მომავალში რვა ათეული წელი შემისრულდება, ჩავთვალოთ რომ ცხოვრების ეს მეორე ნახევარი შემოქმედებისა და მოღვაწეობის მხრივ უფრო ნაყოფიერი იქნება.

— მაინც რა არის საჭირო, რომ დეკორატორი თუ ლანდშაფტ-არქიტექტორი გახდე?

— მომავალი დეკორატორი, რომელიც ამ სპეციალობას უნდა ეზიაროს, უპირველესად კეთილად უნდა განეწყოს ხელოვნებისა და მეცნიერების ახალ სამყაროში ჩასაწვდომად. გამოძებნოს ტექნიკური საშუალებები და განუზომელი ნებისყოფა სპეციალური საგნების შეთვისებისა და შესწავლისათვის. იგი ზოგად კანონებს უნდა დაეუფლოს, რაც ემოციური აღქმისთვის და სილამაზის შესაქმნელად სჭირდება ადამიანს. ასევე, იცოდეს ბუნებრივი კომპოზიციის კანონები და ხერხები, ლანდშაფტმცოდნეობა და ხელოვნური შექმნის საშუალებები, დაგეგმარების ტექნიკა და ა.შ. კარგად უნდა ფლობდეს სპეციალურ საგნებს, როგორიცაა: ბოტანიკის საფუძვლები, მემცენარეობა, დენდროლოგია, მეტყევეობა, მეყვავილეობა, ნიადაგმცოდნეობა, მცენარეთა დაცვა; საინჟინრო მშენებლობის დისციპლინები: გეოლოგია, გეოდეზია, ჰიდროლოგია, მელიორაცია, წყალმომარაგება, მორწყვა, ვერტიკალური გეგმარება და მიწის სამუშაოები.

— რომ დავაზუსტოთ მეცნიერებისა და ხელოვნების რომელ საგნებს უნდა ფლობდეს ლანდშაფტ-დეკორატორი?

— დეკორატორი, იგივე ლანდშაფტ-არქიტექტორი სრულად უნდა ფლობდეს ერთმანეთისგან განსხვავებულ მეცნიერებასა და ხელოვნების დისციპლინებს, ისეთ დარგებს, როგორიცაა: ზოგადი ბოტანიკა, დენდროლოგია, მეყვავილეობა, დეკორატიული მებაღეობა, საბაღო-საპარკო ხელოვნება, მწვანე მშენებლობა, სანერგე სასათბურო მეურნეობა, ლანდშაფტური არქიტექტურა, ფერთამცოდნეობა, ფიტოდიზაინი. მას უნდა ეხერხებოდეს: ხატვა, რათა შემოქმედებითი იდეა, წინადადება თუ კომპოზიციის ელემენტი ხატოვნად გამოსახოს; ხაზვა, რათა კვალიფიციურად გამოსახოს ან გრაფიკულად წარმოადგინოს ავტორისეული პროექტები, არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები, მცირე ხუროთმოძღვრული ფორმები და ქალაქგანაშენიანების საფუძვლები; ასევე, მისი შემოქმედებითი საქმიანობის თანამგზავრი მუსიკა უნდა იყოს, კარგი დეკორატორი ერთგული მამულიაშვილია, რომლის შრომა დედა-სამშობლოს სარბიელზე კეთილ კვალს ტოვებს.

— აგვიწერეთ ჩამოყალიბებული დეკორატორის პორტრეტი.

— ჩამოყალიბებულის რა მოგახსენოთ, მაგრამ დასრულებული დეკორატორი კომბინირებული სპეციალისტია და კომბინირებულად რთულ დარგსაც ემსახურება. გამწვანება ხომ თავს უყრის ერთმანეთისან დაშორებულ საგნებს ბოტანიკიდან დაწყებული და მხაზველობითი გეომეტრიით დამთავრებული. დეკორატორის ქმნილება (პარკი, ბაღი, სკვერი, ხეივანი, მცირე არქიტექტურული ფორმა, პარტერი, არაბესკი, კლუმბი, რაბატი და სხვა.) მნახველს ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრის და სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებს აუმჯობესებს. თუ მშენებელი აშენებს სახლს და მისი ხელქმნილი ფორმა არასოდეს იცვლის სახეს, დეკორატორი წანასწარ განსჭვრეტს და უნდა იცოდეს, წელიწადის დროთა მიხედვით რა გარეგან სახეს ღებულობს მისი უბანი. სივრცეში უნდა წარმოადგინოს 50-80 წლის შემდეგ გამწვანებული უბნის დამთავრებული სახე. დეკორატორის „აგურია“ მცენარე, ხოლო მის მიერ აგებული ბაღი ბიოლოგიურად რთული სახლია, მუდმივად ცვალებადი და მზარდი.

— სად უნდა მოღვაწეობდეს დეკორატორი თუ ლანდშაფტ-არქიტექტორი?

— ზოგადად ყველგან, სადაც გამწვანების სამსახური თუ ნებისმიერი საპროექტო არსებობს. კონკრეტულად კი დეკორატორის ასპარეზია გამწვანების ყველა კატეგორია (სკვერი, ბაღი, პარკი, ხეივანი, ტყე-პარკი, მწვანე მასივები და ა. შ). მისი მოღვაწეობა იწყება ნაკვეთის დაგეგმარებით, გრძელდება პროექტის ნატურაში განხორციელებით და მთავრდება მცენარეთა მოვლა-პატრონობით. რა თქმა უნდა, ამ პროცესებს სხვა სპეციალისტი ტექნიკური მოუმზადებლობის გამო ვერ გაართმევს თავს, ვინაიდან, იგივე აგრონომი დენდრო პროექტს ვერ შექმნის და დეკორატორზე უკეთ ვერ გააფორმებს ან პროექტს ნატურაში ვერ გადაიტანს. მაგრამ საქართველოში, კერძოდ თბილისში არაფერია გადაულახავი. თუ აგრონომი სამედიცინო სამსახურში ექიმს ცვლის, მონათესავე დარგში განა დეკორატორის შეცვლა გაუჭირდება. ამიტომ, დღეს ვინც ხეს ან ყვავილს რგავს დეკორატორად ან ლანდშაფტ-არქიტექტორად (თუმცა ამ უკანასკნელს ერიდებიან, ყველამ პროექტის გაკეთება არ იცის) ინათლება, თუმცა კარგი აგრონომი ამ მეყვავილე — დეკორატორს არ ჩამოუვარდება, მაგრამ მას თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს. აგრონომი მოსავლის მოყვანის, მიწის დამუშავების და პროცესების სპეციალისტია, არეგულირებს აგროტექნიკურ ღონისძიებებს. გამწვანებას აგრონომიც სჭირდება და აგროტექნიკოსიც, მაგრამ მათი საქმიანობა ძალზე მიზანდასახულად უნდა ჩატარდეს.

— თქვენი აღნიშვნით დეკორატორს კონკურენტები ჰყავს?

— თეორიულად დეკორატორს მოპაექრე არ უნდა ჰყავდეს, პრაქტიკულად სულ სხვა სურათია. სახელმწიფო უზარმაზარ თანხებს ხარჯავს სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მომზადებაში. მათი პროფილი (კვალიფიკაცია) მკაფიოდ ჩამოყალიბებულია. მაგალითად, აგრონომი შესაძლებელია იყოს: სუბტროპიკი, მეხილე, მევენახე, მემინდვრე, მეველე, მცენარეთა დაცველი (ენტომოლოგი, ფიტოპატოლოგი). ამ პროფილით დამთავრებული სპეციალისტი განაწილების ადგილზე არ ცხადდება. სოფლის ან რაიონის მიზნობრივად ნასწავლი მომავალი კადრი თავიანთ (მშობლიურ) ადგილებს არ უბრუნდებიან. ამიტომ, დედაქალაქში დარჩენილი ეს კატეგორია (რა თქმა უნდა, პროტექციით) მონათესავე დარგში იწყებს მუშაობას, ხოლო ქალაქის პირობებში ყველაზე ახლო და იოლ დარგად მათთვის გამწვანებაა მიჩნეული. წლების განმავლობაში ასეთმა აგრონომების მოჭარბებამ მრავალათასიანი არმია წარმოშვა. ამას თუ დაემატება, რომ უმაღლეს სასწავლებელში დეკორატორს აღარ ამზადებენ, ნათელი ხდება — დღეისათვის დეკორატორი თითზეა ჩამოსათვლელი. კიდევ საოცრება — ამ დარგში რესპუბლიკას მეცნიერული ხარისხით და წოდებით ორი დეკორატორი გააჩნია.

— აქამდე დეკორატორის პროფესიაზე ვისაუბრეთ, ახლა პირადად დეკორატორად თქვენი ჩამოყალიბებისა და მოღვაწეობის ეტაპებს შევეხოთ, ნუთუ ასეთი რთული გზა განვლეთ?



ღანზე, ვოლგოგრადი (1966), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკვერის დაგეგმარება-გამწვანება, თბილისი (1967), ახალგაზრდობის სასახლის ინტერიერის ლანდშაფტური გაფორმება და ტერიტორიის გამწვანება, კომსომოლსკი მდ. ამურზე (1967), კომსომოლსკაია პრავდის რედაქციის ლანდშაფტური გაფორმება, მოსკოვი (1968), ქართული ეროვნული პარკი და ყვავილნარის პარტერი მემორიალურ ცენტრში, ულიანოვსკი (1969-74), საქართველოს ახალგაზრდობის შენობის ინტერიერის ლანდშაფტური გაფორმება, თბილისი (1970), ადმინისტრაციული ცენტრის გამწვანება, სამტრედია (1980), საქართველოს ექსპოზიციის ლანდშაფტური გაფორმება, მოსკოვი (1982-83), სანატორიუმ „საქართველოს“ (არქ. მ. ჩხენკელი) გამწვანება-კეთილმოწყობა, წყალტუბო (1983), საქართველოს პროფკავშირული ცენტრის დაგეგმვა-გამწვანება თბილისის ზღვაზე (1983-84), ი. სტალინის სახლ-მუზეუმის ინტერიერის ლანშაფტური გაფორმება, გორი (1985), ისტორიული ბაღის „ბულვარის“ გამწვანება-რეკონსტრუქცია, ქუთაისი (1986), საქართველოს მინისტრთა საბჭოს ინტერიერის გაფორმება, ინგლისის პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეჩერის ვიზიტის გამო, თბილისი (1987), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინტერიერის გაფორმება, თბილისი (1988), მევენახის სახლის გამწვანება-კეთილმოწყობა, საგარეჯო (1989), საწარმო გაერთიანება „აზოტის“ გამწვანება, რუსთავი (1989), სამთო სასტუმრო ინტერიერის გაფორმება, გუდაური (1990) სანატორიუმის გამწვანება-კეთილმოწყობა, ონი (1992) საწყლოსნო კომპლექსის გამწვანება, მალთაყვა, ფოთი, (1993), რუსთაველის გამწვანება-კეთილმოწყობის აღდგენითი სამუშაოები (1995-96), ასევე შ. ისაკაძის ავტორობით გამწვანდა საყოველთაოდ აღიარებული გმირთა მოედანზე საქართველოს ერთიანობის სამთავრობო სკვერი (2000).

შორეულ აღმოსავლეთში მდ.ამურზე გაშენებულია ქ. კომსომოლსკი, რომლის დაარსების 35 წლის თარიღი 1967 წელს გადაიხადეს. დღესასწაულს წინ უძღოდა პირველად საბჭოეთის ქვეყანაში ახალგაზრდობის სასახლის გახსნა. საქართველოს ახალგაზრდობის თავკაცმა ოთარ ჩერქეზიამ იმ დროს ბოტანიკური ბაღის დეკორატორს და უფროს მეცნიერ-თანამშრომელს შალვა ისაკაძეს დაავალა სასახლის ინტერიერის და ექსტერიერის დეკორატიულ-ლანდშაფტური გაფორმება. ე.ი. სააქტო დარბაზის, გამოფენის, ქორწინების დარბაზის, კაფე-სასადილოს, ვესტიბიულის, საცურაო აუზის მცენარეული კომპოზიციით მორთვა. იქ შ. ისაკაძე ორი თვით ადრე მიავლინეს, სადაც 2000 კვ.მ. ფართობის გამწვანება-გაფორმებისათვის უკვე ადგილზე გაგრძელდა ექსპედიციები ტაიგაში, მივლინებები ხაბაროვსკში და ვლადივოსტოკში, ხოლო სასახლეში აგროდეკორატიული და ტექნიკური საკითხები წყდებოდა. დღესასწაულის გახსნას მრავალი საპატიო სტუმარი დაესწრო, მათ შორის პირველი კოსმონავტი იური გაგარინი. სასახლის მშენებლობისა და გაფორმების ავტორებს მთავრობის საპატიო ჯილდოები გადაეცათ, მათ შორის ი. გაგარინმა შ.ისაკაძეს უსახსოვრა მინიატიურული წიგნი და ფერადი ფოტოსურათი საგულისხმო ავტოგრაფით. „შალვა ისაკაძეს გულწრფელი პატივისცემით ი. გაგარინი. 17.06.67წ“.

შალვა ისაკაძის კალამს ეკუთვნის 115-მდე სამეცნიერო შრომა და სამეცნიერო-პოპულარული წერილები. აქედან 15 მონოგრაფია: სან-სუსის ბაღი (1966), თბილისის ბოტანიკური ბაღი (1969), საქართველოს ხალიჩოვანი მცენარეები (1971), კულტურული ხალიჩოვანი მცენარეები (1973), ვერსალის პარკი (1980), მისი შრომები დასტამბულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის, ბოტანიკური ბაღის შრომათა კრებულებში, ხოლო სამეცნიერო-პოპულარული წერილები დაბეჭდილია რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში (საქართველოს ბუნება, მოამბე, მეცნიერება და ტექნიკა, ხელოვნება, საქართველოს ქალი, არქიტექტურა და სხვა).

შ. ისაკაძე მონაწილეობს საქართველოს, ამიერკავკასიის, რუსეთისა და საზღვარგარეთის კონგრესების, კონფერენციების და სიმპოზიუმების საერთაშორისო ღონისძიებებში: ამიერკავკასიის ბოტანიკური ბაღების სამეცნიერო სიმპოზიუმი, თბილისი (1964), მწვანე მშენებლობის და დეკორატიული მებაღეობის სამეცნიერო კონფერენცია, ბუდაპეშტი (უნგრეთი, 1973), ამიერკავკასიის ბოტანიკური ბაღების სამეცნიერო სესია, ბაქო (აზერბაიჯანი 1973), ლანშაფტ-არქიტექტორთა საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი (IFLA) ბუდაპეშტი, ბალატონი (უნგრეთი 1984), მწვანე მშენებლობის და ბუნების დაცვის კონგრესი, ნიტრა (ჩეხეთი 1985), მცენარეთა რესურსების დაცვა-რეკონსტრუქცია, სტავროპოლი (1989), ლანდშაფტური არქიტექტურა და ქალაქის დიზაინის კონგრესი, მოსკოვი, ვენა (ავსტრია, 2001).

შალვა ისაკაძე არის თბილისის მთავარი დეკორატორი (1995 წლიდან); საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1983); ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვი (1966); უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი, მოსკოვი (1980); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო საბჭოს წევრი (1960 წლიდან), თბილისის არქიტექტურისა და ქალაქ გეგმარების საქალაქო სამსახურის საბჭოს წევრი (1995), საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი (1983), საქართველოს არქიტექტორთა ეროვნული შემოქმედებითი კავშირის გამგეობის წევრი (1998 წლიდან) და კავშირის ლანდშაფტური არქიტექტურის და გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე (2001), საქართველოს ღირსების მედლის (1996) და ორდენის (2000) კავალერი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2000). საქართველოს ეროვნული და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი (2003).

შ. ისაკაძის ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში „საქართველო“, თანამედროვე არქიტექტორთა ლექსიკონში (1999) და ენციკლოპედიაში „თბილისი“ (2002).

საქართველოს ბუნება სალოცავად გავიხადე...

— რთული და შინაარსიანი. დამერწმუნეთ, რომ თავისთავად არაფერი მოდის. დასაწყისში მოგახსენეთ, რომ ბეჯითი სწავლა და დაუცხრომელი შრომა განაპირობებს ადამიანის პროფესიონალად ჩამოყალიბებას. ამ იდეის რეალიზაციას შევუდექი ჩემი ნიჭის, ენერგიის, უნარის და მომავალი პროფესიისადმი უდიდესი სიყვარულის გამოვლინებით. ჩემს სალოცავად გადაიქცა ჯერ კიდევ შეუსწავლელი მცენარეული სამყარო, შეუცნობადი საქართველოს ბუნება და საბაღო-საპარკო ხელოვნება.

მახსენდება 1958 წელი, სოჭის ცნობილი დენდროლოგიური პარკი, სადაც მეხუთე კურსის სტუდენტი სადიპლომო პრაქტიკას გავდიოდი პროფ. ალექსანდრე კოლესნიკოვის ხელმძღვანელობით, რომელმაც სადიპლომო თემად თბილისი ზღვის დენდროპარკის გამწვანება-კეთილმოწყობა შემომთავაზა. პროფ. კოლესნიკოვი იმ დროს საქართველოს სატყეო კომიტეტის დაკვეთას ასრულებდა. ტყე-პარკის დიდი ტერიტორიიდან დასაპროექტებლად 20 ჰექტარი გამომიყო, რომელიც დიდი გატაცებით დავამუშავე. 1959 წლიდან ვმუშაობ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ბოტანიკურ ბაღში. აქაც გამიღიმა და მეორე ბუმბერაზი მეცნიერის, აკადემიკოს ნიკო კეცხოველის ხელმძღვანელობით 25 წლის ასაკში თემა დავამუშავე: საქართველოს ხალიჩოვანი მცენარეები და ქართული ჩუქურთმის დანერგვა-გამოყენება. თემა იმდენად დისერტაბელური გამოდგა, რომ 1964 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დავიცავი. 1970 წლამდე ვიყავი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. თანდათან გავიფართოვე ცოდნა, გამოცდილება, ალბათ უფრო გონიერიც გავხდი და ამ პერიოდში მეცნიერ-მუშაკიდან თბილისის გამწვანების ტრესტის მმართველად დამნიშნეს. 30 წლის ასაკში ჩემი ენერგია, გონება, დავძაბე ჩემი სალოცავი იდეისა და აზრთა პრაქტიკულად განხორციელებისათვის. საკურთხევლად კი, ჩემს წინაშე თბილისის გამწვანება გადაიშალა.

გამწვანების ტრესტის მმართველობა საინტერესო პერიოდში მომიხდა. წინადადებების და აზრების პრაქტიკულად განხორციელებას ახდენდა შრომისმოყვარე, მრავალრიცხოვანი კოლექტივი, რომელიც ჭეშმარიტად გამოცდილი სპეციალისტებით დაკომპლექტდა, ხოლო თეორიულად საკითხების დამუშავებასა და გადაწყვეტაში გვეხმარებოდა გამწვანების ტრესტთან ახლად შექმნილი მეცნიერთა საკონსულტაციო კომისია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ნიკო კეცხოველი, ვასილ გულისაშვილი, ლევან ყანჩაველი, პროფ. მ. გოგოლაშვილი, დოც. ლადო მათიკაშვილი, მთავარი არქიტექტორი შოთა ყავლაშვილი და თქვენი მონა-მორჩილი, რომელსაც სასიამოვნო ხვედრად ამ კომისიის თავჯდომარეობა დამევალა.

— საინტერესოა თუ როგორ ხდებოდა მეცნიერთა საკონსულტაციო კომისიის წინადადებების და დასკვნების შეზავება-გამწვანების პრაქტიკულ საქმიანობასთან და მეცნიერთა რეკომენდაციებიდან რომელ საკითხს გამოარჩევდით?

— თბილისი საქალაქო საბჭოში თუ აღმასკომებზე დასმული სპეციფიკური საკითხები განხილვისათვის გამწვანების ტრესტის მეცნიერთა საკონსულტაციო კომისიას გადმოეგზავნებოდა. დამატებით ამისა, კომისიას შედგენილი ჰქონდა სამუშაო, კალენდარული გეგმა შემდგარი განსაკუთრებული მნიშვნელობით გამორჩეული საკითხებისგან, რომლების შესწავლის, ღრმა ანალიზის და ექსპერტიზის შედეგად წარმოებას გადაეცემოდა და პრაქტიკაში ინერგებოდა.

მეცნიერთა ყველა საკითხი აქტუალური და რეალურად განხორციელებული აღმოჩნდა. ასე მაგალითად, ტრესტს სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჰქონდა. 1971-73 წლებში აშენდა სასათბურე-საორანჟერეო მეურნეობები: დიღომში, ავშნიანში, თბილისის ცალკე რაიონებში. ვაშლიჯვარში მოეწყო ავტოფარეხი. ნატახტარში გამოიყო 500 ჰექტარი, სანერგე ტერიტორია ამოქმედდა ოქროყანაში. საფუძველი ჩაეყარა მრავალ ბაღ-პარკებსა და სკვერებს, დაირგო გვალვის და ყინვისამტანი პერსპექტიული ხე-ბუჩქები, ყვავილები და მერქნოვანი საბაღო ფორმები. 1972-74 წლებში ქუჩა-მოედნების გამწვანებაში გაჩნდა ახალი ჯიშები, როგორიცაა: ცაცხვი — ნ. ნიკოლაძის, ბარნოვის, ფალიაშვილის ქუჩებში; იფანი — პასტერის, სანაპირო ზოლში; ნეკერჩხალი — ახვლედიანის, ქიაჩელის: სფერული აკაცია — არაყიშვილის; საბაღო ნეკერჩხალი — კავსაძის; ცხენის წაბლი — ბელინსკზე, რიგის ქუჩაზე, თუმცა ერთი ეპიზოდი მეტად ნიშანდობლივია.

სასიამოვნოდ ვიხსენებ რიგის ქუჩას და მის მცხოვრებლებს. აქ 1973 წელს გაზაფხულზე ამორტიზებული და უსისტემოდ განლაგებული ეკლის (აკაცია) ხეები 15-წლიანი და 3 მეტრის სიმაღლის ცხენის წაბლის ნარგაობით შევცვალეთ, რომლებიც სიმეტრიული და ტოლი მანძილით დირგა. კეთილმოწყობის სამმართველომ ამ ხეების საკვებ არეს ბაზალტის ფილები შემოუწყო, სავალ ნაწილში და ქუჩაზე ასფალტის ახალი ფენა გადააკრა, ტროტუარს ბორდიურის წარბები დაუმშვენა. მოკლედ, ცხენის წაბლმა ქუჩის იერსახეს არა მარტო დეკორატიული ტონი მისცა, არამედ გარემო სივრცეს უბიძგა კეთილმოწყობის ელემენტების შემოტანა. უფრო მეტიც, მოსახლეობამ ახალი ნარგავების მოვლა ითავა. ბატონი შოთა გორგოძე — საქართველოს შს იმდროინდელი მინისტრი დილა-საღამოს მის წინ განლაგებულ მცენარეს წყალს უსხამდა, ასე მოიქცნენ სხვა თბილისელებიც, ალბათ, ამ პროცესმა 2-5 წელი გასტანა და დღეს, გამწვანების 40 წლის შემდეგ შედეგი სახეზეა — სანიმუშო ქუჩას ამშვენებს სტანდარტულად განვითარებული 50 წლის ცხენის წაბლები. თუმცა, უნდა ვაღიაროთ გამწვანების „რევოლუციას“ მოუხდა მსხვერპლის გაღებაც...

თბილისის ქუჩების ნარგაობათა სიახლე ბევრმა თავისებურად აღიქვა. გარკვეულ ნაწილში წარმოიშვა დიდი უსიამოვნება, პესიმისტი მცხოვრებლების გულისწყრომა, ხელმძღვანელ მუშაკთა მუქარა, ზოგიერთი პარტიული ფუნქციონერის განრისხება. მახსენდება, ფილარმონიის მცირე დარბაზში კალინინის რაიონულმა კომიტეტმა აქტივის კრება ჩაატარა და, პირველი მათრახი იქ ვიგემე. მეორე — ბიუროს სხდომაზე გამოტანილი — 6-თვიანი საყვედური. ახალგაზრდა ტრესტის მმართველმა როგორ გავბედე ქუჩების დაცარიელება განურჩევლად იმისა, რომ აკაცია და თელები იყო დეფორმირებული, ალერგიული, უსისტემოდ დარგული, დაავადებული და ნაადრევად გადაბერებული. მართლაც, იმ დროისათვის ახალგაზრდა სპეციალისტს გამოცდილება არ მეყო, არც დიპლომატია. ეს ხომ თბილისში ქუჩის ნარგაობათა შეცვლის პირველი ცდა იყო.

მეცნიერთა რეკომენდაციებიდან გამოვყოფდი გამწვანების ტრესტის მეორედ დაბადების საკითხს, როდესაც ტრესტი — გამწვანების სამმართველოდ და გაერთიანებად გადაიქცა. ეს იყო ჭეშმარიტად მთავრობის მიერ გამწვანების სფეროს აღიარება. სასიხარულოა, რომ გამწვანების რეორგანიზაციის საკითხი მეცნიერთა საკონსულტაციო კომისიაზე ჩაისახა და თუ გამწვანების სამსახური მძლავრ მექანიზმად გვევლინება 40 წლის წინათ მეცნიერთა კომისიაზე ჩასახული კეთილი ნაყოფის შედეგია.

— გმადლობთ გულწრფელი საუბრისთვის.

ესაუბრა
ნიკოლოზ მუხაძე



◎ განსჯა

ქართველთა საოლიმპიადო ტაბლო

თავისუფალი ჭიდაობა „ოქროს“ აკორდი

რიო დე ჟანეიროში დამთავრდა ზაფხულის 31-ე ოლიმპიური თამაშები. ქართველმა სპორტსმენებმა ასპარეზობა 7 მედლით (2 ოქრო, 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო) დაასრულეს. გასულ უქმეებზე ჩვენს დელეგაციას „ოქრო“ და „ბრინჯაო“ თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა შესძინეს: ოლიმპიური ჩემპიონობა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა (57 კგ) მოიპოვა, გენო პეტრიაშვილმა (125) კი მესამე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ორივე ფალავანი გორელი და ნუგზარ სხირელის აღზრდილია.

ოთხი წლის წინათ ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ლონდონის ოლიმპიადაზე არაობიექტური მსაჯობის გამო მხოლოდ ვერცხლის მედალს დასჯერდა, რიოში კი საწადელი აისრულა, თუმცა, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონს არბიტრებთან ჭიდილი არც რიოში დაჰკლებია, განსაკუთრებით აზერბაიჯანელთა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ჰაჯი ალიევთან შეხვედრისას. გორელმა სპორტსმენმა სტარტზე ნურისლამ სანაევი (ყაზახეთი) დაამარცხა - 4:3, მერე მის გზას გაუყენა ჰაჯი ალიევი (აზერბაიჯანი) - 5:3. ნახევარფინალში ვლადიმირ დუბოვთან (ბულგარეთი) 0:4-ს აგებდა, მაგრამ გონგამდე რვა ქულა აართვა მეტოქეს და 8:4 გაიმარჯვა. გადამწყვეტ პაექრობაში 20 წლის იაპონელ რეი ჰიგუჩის დაუპირისპირდა, ვისაც აქამდე ასაკობრივ ნაკრებებშიც კი არ მიუღწევია წარმატებისთვის. ხოლო რიოში მან ფავორიტებს გადაუკეტა ოქროსკენ მიმავალი გზა: ზედიზედ დაამარცხა ჩრდილოკორეელთა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი კიონგ ჯუ იანგი, კუბელი მსოფლიოს მესამე პრიზიორი იოვლის ბონე როდრიგესი და ირანელი მსოფლიოს ჩემპიონი ჰასან რახიმი. ფინალში ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელს ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა 4:3 აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ჰიგუჩის ვერცხლის მედალი ერგო.

მიზნის მიღწევამდე ცოტა დააკლდა მძიმეწონოსან გენო პეტრიაშვილს. პირველ წრეში იოლად სძლია დიმიტარ კუმჩევს (ბულგარეთი) — 10:0, მერე ალან ზასეევი (უკრაინა) დაამარცხა — 11:6. მეოთხედფინალში გორელი ფალავანი პირველი პერიოდის შემდეგ ირანელ ოლიმპიურ პრიზიორ კომეილ გასემის 3:0-ს უგებდა, მაგრამ მეორეში 4 ქულა დაკარგა. მართალია, ორთაბრძოლის დასრულებამდე 5 წამით ადრე წრიდან გაყვანით ანგარიში გაათანაბრა - 4:4, მაგრამ ფრე ირანელს აძლევდა ხელს, რადგან უფრო მაღალი ხარისხის 2-ქულიანი გდებები ჰქონდა, ამიტომაც მომდევნო ეტაპზე გასემი გავიდა. პეტრიაშვილი დამამშვიდებელში გადაერთო და ორივე შეხვედრა აღმავლობით ჩაატარა: ჯერ კანადელ კორი ჟერვისს სძლია 9:2, ბრინჯაოსთვის გადამწყვეტ პაექრობაში კი ბულგარული წარმოშობის 31 წლის ამერიკელი ტერველ დლაგნევი 31 წამში დაამარცხა - 10:0 მოუგო. ჩემპიონობა თურქმა ტაჰა აკგულმა მოიპოვა — ფინალში იოლად დაჯაბნა გასემი. თავისუფალი სტილით მოჭიდავე დანარჩენი ქართველი ფალავნები კვარცხლბეკს ვერ მიუახლოვდნენ.



მარათონი

ოლიმპიური **თამაშების ბოლო დღეს ქართველმა მარათონელმა დავით ხარაზიშვილმა 42 კმ და 195 მეტრი 2.20,47 საათში დაფარა და 155 მონაწილეს შორის 72-ემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი.**

მხატვრული ტანვარჯიში

ქართველ **მხატვრულ ტანმოვარჯიშე სალომე ფაჟავას კარგა ხანია ფეხის ტრავმა აწუხებს.** სპორტის ამ სახეობაში პაექრობების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე რიოში ნაკრების მთავარ მწვრთნელ ელისო ბედოშვილს შევეხმიანეთ. „თითქმის კვირაა, სალომე, ფაქტობრივად, ტკივილგამაყუჩებლებით ახერხებს ვარჯიშს. ვეცდებით, ტურნირისთვის მწყობრში იყოს“, — გვითხრა მან. ეტყობა პრობლემა გადაუჭრელი დარჩა, რადგან მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა კვალიფიკაციაში ფაჟავამ ოთხი საგნით ვარჯიშის ჯამში 69,115 ქულით მე-14 ადგილი დაიკავა და ფინალს მიღმა დარჩა.

მრავალჭიდში ოლიმპიური ჩემპიონობა რუსმა მარგარიტა მამუნმა მოიპოვა, ვერცხლის მედალი მის თანამემამულე იანა კუდრიავცევას ერგო, ხოლო ბრინჯაო უკრაინელ ჰანა რიზატდინოვას ხვდა.

ლექსო ციწცაძე

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

იტალია. „იუვენტუსი“ — „ფიორენტინა“ 2:1, „რომა“ — „უდინეზე“ 4:0, „მილანი“ — „ტორინო“ 3:2, „პესკარა“ — „ნაპოლი“ 2:2, „კიევო“ — „ინტერი“ 2:0.

ესპანეთი. „ბარსელონა“ — „ბეტისი“ 6:2, „სოსიედადი“ — „რეალი“ 0:3, „ატლეტიკო“ —„ალავესი“ 1:1, „სევილია“ — „ესპანიოლი“ 6:4.

ინგლისი. „სტოკი“ — „სიტი“ 1:4, „ბარნლი“ — „ლივერპული“ 2:0, „უოტფორდი“ —„ჩელსი“ 1:2, „ლესტერი“ — „არსენალი“ 0:0, „მანჩესტერი“ — „საუთჰემპტონი“ 2:0.

გიორგი ზოთაძე

◎ ცხელ გულზე

ოლიმპიური ომის დასასრული

ახლახან **დასრულებულმა რიოს ოლიმპიადამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გლობალიზაციის ეპოქაში ყველაფერი პოლიტიკაა. თანაც დიდი პოლიტიკა. ხშირ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანიც კი, ვიდრე ლოკალური საომარი კონფლიქტები. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან გლობალიზებულ მსოფლიოში, როდესაც მილიარდობით ადამიანი ერთდროულად ადევნებს თვალს რაიმე მოვლენას, შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებასა და საზრისებს გლობალური მნიშვნელობა ენიჭებათ. ამიტომ ოლიმპიადის მოგება ან წაგება სტრატეგიულ შედეგებს იწვევს და სახელმწიფოებიც ყველანაირად ცდილობენ საკუთარი ადეკვატურობა დაადასტურონ. ვისთვის როგორ: ვინ — გლობალური მასშტაბით, ვინ — ადგილობრივი და ლოკალური მნიშვნელობით.**

თუმცა, დროშის გამოჩენა ასეულობით მილიონი მაყურებლისთვის სანფრანცისკოდან — შანხაიმდე და ლონდონიდან — სიდნეიმდე ნებისმიერ შემთხვევაში იძენს მსოფლიო მნიშვნელობას, ვინაიდან, მაგალითად, ავსტრალიელი პასტორის ოჯახში გაზრდილ 20 წლის ჭაბუკს მისთვის სრულიად უცხო, არაამერიკული Georgia-ს ხუთჯვრიანი დროშის ხილვისას, რომელიც ძალიან ჰგავს ჯვაროსანთა დროშას, შეიძლება გაუჩნდეს სურვილი, დაგუგლოს Country of Georgia (ამ ტერმინით გვანსხვავებენ ანგლოსაქსები ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი State-ისგან), იქვე შეიტყოს მისთვის საყვარელი Skorpions-ის კონცერტის შესახებ და ბათუმში ჩამოფრინდეს მეგობრებთან ერთად მაშინ, როდესაც აზერბაიჯანში, იმავე ლეგენდარული როკ-ჯგუფის კონცერტზე, შეიძლება არ წამოსულიყო. მაგრამ ოლიმპიურ თამაშებზე აფრიალებული ხუთჯვრიანი დროშა მიანიშნებს, რომ ეს პატარა ქვეყანა, რომლის შესახებაც მანამდე არაფერი სმენოდა, მისი იდენტობისაა.

ბუნებრივია, ასეთი და ამგვარი მოტივაცია კიდევ უფრო მეტად აქვთ დიდ სახელმწიფოებს. ამიტომ, ბარონ პიერ დე კუბერტენის გულუბრყვილო სურვილი, აეღორძინებინა ანტიკური იდეალები და ღირებულებები ახალ ეპოქაში, ექცია ოლიმპიადა არა ნაციათა, არამედ პიროვნებათა შეჯიბრებად, იმთავითვე განწირული იყო.

დღეს ოლიმპიური თამაშები იმდენად მნიშვნელოვანი გლობალური მოვლენაა, სახელმწიფოები მას სასტიკი და დაუნდობელი ომის „შემცვლელად“ აღიქვამენ: როგორც კი წარმოიშვა საშიშროება, რომ რუსეთი, დოპინგის სახელმწიფო პოლიტიკის გამო, შეიძლებოდა ოლიმპიადიდან საერთოდ მოეხსნათ, პრეზიდენტმა პუტინმა უკრაინის საზღვრებთან მასშტაბური სამხედრო წვრთნები დაიწყო, ხოლო ოლიმპიური კომიტეტის საკვანძო სხდომაზე მიავლინა თავისი გუნდის ერთ-ერთი მძიმეწონოსანი ფიგურა, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ალექსანდრე ჟუკოვი, რომელმაც დახურულ კონფერენციაზე პირდაპირ უთხრა შიშით ათრთოლებულ ჩინოსნებს: „რუსეთის სრულ მოხსნას ოლიმპიადიდან ჩვენი სახელმწიფო აღიქვამს, როგორც ომის გამოცხადებას! თქვენ მზად ხართ იკისროთ პასუხისმგებლობა გლობალური ომისთვის, რომელიც ბირთვულ კონფლიქტშიც გადაიზრდება?“

ბუნებრივია, მოფარიკავე, თანაც გერმანელი (!) თომას ბახი ამ პასუხისმგებლობას ვერ იკისრებდა, ამიტომ მხოლოდ მძლეოსნები არ დაუშვეს, თუმცა, რუსული დროშა რიოში მაინც აღიმართა. პუტინისთვის ეს იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და არა მოპოვებული ოქროს მედლების რაოდენობა. ამ მხრივ რუსეთი დიდი ხანია ვეღარ უწევს კონკურენციას ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ამერიკელებმა 121 მედალი მოიპოვეს, მათგან 46 ოქროს, 37 ვერცხლის და 38 ბრინჯაოსი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დიდი ბრიტანეთი, რომელმაც ახლახან განაცხადა ევროკავშირიდან გასვლის შესახებ, ამ არაოფიციალურ რეიტინგში მეორე ადგილზეა: 67 მედალი. აქედან 27 ოქროს, 23 ვერცხლის და 17 ბრინჯაოსი. ეს უფრო აღსანიშნავი და ნიშანდობლივია, ვიდრე ჩინეთის მესამე ადგილი (70; 26 — 18-26).

დიდი ბრიტანეთის გარეშე დარჩენილი ევროკავშირის ლიდერი და სპორტული ზესახელმწიფო — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა (42; 17 — 10 — 15). მას გაასწრო იმავე რუსეთმა, რომლის შედეგი (56; 19-18-19) და მეოთხე ადგილი მაინც სერიოზული წარმატებაა შექმნილ ვითარებაში.

პუტინმა, რომელიც დასავლეთთან მიმდინარე ცივი ომის ფონზე „რბილი ძალის“ ნებისმიერ გამოვლინებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და უდიდეს რესურსებსაც ხარჯავს, პროგრამა-მინიმუმი ნამდვილად შეასრულა რიოში, რაკი კვლავ ლიდერებს შორის აღმოჩნდა. მაგრამ რისი წყალობით და როგორ?

ოლიმპიადის მსვლელობისას დააპატიმრეს ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა ფედერაციის პრეზიდენტი პატრიკ ჰიკი. მას კორუფციაში — ბილეთებით სპეკულირებაში ედება ბრალი. ეს სწორედ ის პატრიკ ჰიკია, რომელიც ყველაზე აქტიურად გამოდიოდა რუსი მძლეოსნების ოლიმპიადიდან მოხსნის წინააღმდეგ.

ბუნებრივია, რუსული სპეცსამსახურები მასთან წლების განმავლობაში მუშაობდნენ. ისევე, როგორც მუშაობენ ყველა „გადამწყვეტ ფიგურასთან“ (Decision Maker). ვის ფულსა თუ აზარტული თამაშების სიყვარულზე გამოიჭერენ, სხვებს გასაგიჟებელ ქალს მიუგზავნიან: როგორც დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრ ერთ მოხუც პოლიტიკოსს, რომელიც სწორედ ამ ხრიკით „დაიბეს“ და საკუთარ აგენტად აქციეს ლონდონსა და სტრასბურგში.

ადამიანური სისუსტეებისა და პრობლემების (ვალები, შვილის ნარკომანობა, ოჯახური კონფლიქტები, მძიმე ავადმყოფობა და ა.შ და ა.შ) გამოყენება სპეცსამსახურთა ჩვეული ტექნოლოგიაა და პუტინის რეჟიმი მას უდიდესი წარმატებით იყენებს ყველგან, სადაც „მუშაობს“, არადა სწორედ „ყველგან მუშაობს“. საქართველოშიც, რასაკვირველია.

რაც შეეხება ჩვენი ქვეყნისა და „დროშის“ მონაგარს: 7 მედალი, მათგან ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოსი, ცუდი შედეგი არ არის საქართველოს GDP-Per capita-ს გათვალისწინებით. და რაც ყველაზე ფასეულია, ეს ოლიმპიური მედლები უკვე ნამდვილად აღარ არის საბჭოთა მემკვიდრეობა, როდესაც ქართველ სპორტსმენებს უდიდესი სპორტული ზესახელმწიფოს უკიდეგანო რესურსები ან ამ რესურსთა ნარჩენები ეხმარებოდათ.

რიოში მოპოვებული მედლები უკვე იმ თაობის მონაგარია, რომელიც მთლიანად დამოუკიდებელ საქართველოში გაიზარდა.

ხოლო მათ, ვისაც სპორტი გვიყვარს, როგორც სპორტი, ანუ ადამიანთა, ესე იგი პიროვნებათა, კეთილშობილი, არასაომარი შერკინება (სწორედ ასე ესმოდათ იგი ძველ ბერძნებს) სამუდამოდ დაგვამახსოვრდება რამდენიმე საკაცობრიო მნიშვნელობის სპორტული მიღწევა: ოცდასამგზის (!) ოლიმპიური ჩემპიონის, ფენომენალური მაიკლ ფელპსის ხუთი ოქრო და შეუდარებელი ჰუსეინ ბოლტის ცხრაგზის ჩემპიონობა.

ნიკა იმნაიშვილი

ქვეყნები	ო.	ვ.	ბ.	სულ
1. აშშ	46	37	38	121
2. დიდი ბრიტანეთი	27	23	17	67
3. ჩინეთი	26	18	26	70
4. რუსეთი	19	18	19	56
5. გერმანია	17	10	15	42
6. იაპონია	12	8	21	41
7. საფრანგეთი	10	18	14	42
8. სამხრეთ კორეა	9	3	9	21
9. იტალია	8	12	8	28
10. ავსტრალია	8	11	10	29
11. ჰოლანდია	8	7	4	19
12. უნგრეთი	8	3	4	15
13. ბრაზილია	7	6	6	19
14. ესპანეთი	7	4	6	17
15. კენია	6	6	1	13
16. იამაიკა	6	3	2	11
17. ხორვატეთი	5	3	2	10
18. კუბა	5	2	4	11
19. ახალი ზელანდია	4	9	5	18
20. კანადა	4	3	15	22
21. უზბეკეთი	4	2	7	13
22. ყაზახეთი	3	5	9	17
23. კოლუმბია	3	2	3	8
24. შვეიცარია	3	2	2	7
25. ირანი	3	1	4	8
26. საბერძნეთი	3	1	2	6
27. არგენტინა	3	1	0	4
28. დანია	2	6	7	15
29. შვედეთი	2	6	3	11
30. სამხრეთ აფრიკა	2	6	2	10
31. უკრაინა	2	5	4	11
32. სერბეთი	2	4	2	8
33. პოლონეთი	2	3	6	11
34. ჩრდილოეთ კორეა	2	3	2	7
35. ტაილანდი	2	2	2	6
35. ბელგია	2	2	2	6
37. სლოვაკეთი	2	2	0	4
38. საქართველო	2	1	4	7
39. აზერბაიჯანი	1	7	10	18
40. ბელარუსი	1	4	4	9
41. თურქეთი	1	3	4	8
42. სომხეთი	1	3	0	4
43. ჩეხეთი	1	2	7	10
44. ეთიოპია	1	2	5	8
45. სლოვენია	1	2	1	4
46. ინდონეზია	1	2	0	3
47. რუმინეთი	1	1	3	5
48. ბაჰრეინი	1	1	0	2
48. ვიეტნამი	1	1	0	2
50. ტაივანი	1	0	2	3
51. ბაჰამის კუნძულები	1	0	1	2
51. კოტ დ'ივუარი	1	0	1	2
51. სოკ	1	0	1	2
54. იორდანია	1	0	0	1
54. კოსოვო	1	0	0	1
54. ფიჯი	1	0	0	1
54. პუერტო-რიკო	1	0	0	1
54. სინგაპური	1	0	0	1
54. ტაჯიკეთი	1	0	0	1
60. მალაიზია	0	4	1	5
61. მექსიკა	0	3	2	5
62. ირლანდია	0	2	0	2
62. ალჟირი	0	2	0	2
64. ლიტვა	0	1	3	4
65. ბულგარეთი	0	1	2	3
66. მონღოლეთი	0	1	1	2
66. ვენესუელა	0	1	1	2
66. ინდოეთი	0	1	1	2
69. ბურუნდი	0	1	0	1
69. ყატარი	0	1	0	1
69. ნიგერი	0	1	0	1
69. ფილიპინები	0	1	0	1
69. გრენადა	0	1	0	1
74. ნორვეგია	0	0	4	4
75. ეგვიპტე	0	0	3	3
75. ტუნისი	0	0	3	3
77. ისრაელი	0	0	2	2
78. ნიგერია	0	0	1	1
78. მოლდოვა	0	0	1	1
78. ესტონეთი	0	0	1	1
78. პორტუგალია	0	0	1	1
78. ავსტრია	0	0	1	1
78. ფინეთი	0	0	1	1
78. მაროკო	0	0	1	1
78. დომინიკა	0	0	1	1
78. საამიროები	0	0	1	1
78. ტრინიდადი	0	0	1	1
78. ყირგიზეთი	0	0	1	1

◎ კვარცხლბეკს მიღმა

BLOOMBERG-მა ოლიმპიური მედლების რაოდენობა ქვეყნების მშპ-ს შეუფარდა – საქართველო სიის მეოთხე ადგილზეა

რიოს ოლიმპიური თამაშები დასრულდა. დასკვნითი მრავალფეროვანი ღონისძიება, რომელიც კარნავალის თემატიკით იყო მომზადებული, „მარაკანას“ სტადიონზე სამ საათს გაგრძელდა.

თამაშები ბრაზილიაში 16 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობა 206 ქვეყნის 11. 303-მა სპორტსმენმა მიიღო.

ცერემონიაზე ოლიმპიური ცეცხლი ოფიციალურად გადაეცა ტოკიოს, რადგან 2020 წელს გრანდიოზულ სპორტულ მოვლენას სწორედ იაპონია უმასპინძლებს.

ოლიმპიადაში საქართველოც მონაწილეობდა. ჯამში ჩვენმა დელეგაციამ 7 მედალი მოიპოვა – 2 ოქრო, 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო.

არსებობს მოსაზრება, რომ თამაშების მასპინძლობა არჩეული ქალაქისა, და ქვეყნისთვის ეკონომიკურ კეთილდღეობას ზრდის. საპირისპირო შეხედულებას ავითარებს გამოცემა Project Syndicate, რომელიც წერს, რომ თამაშები უფრო ხშირად თაღლითობის ადგილად იქცევა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (IOC), რომელიც წარმოადგენს დაურეგულირებელ გლობალურ მონოპოლიას, წელიწადში ორ აუქციონს ატარებს, სადაც მსოფლიოს ქალაქები ეჯიბრებიან ერთმანეთს იმის დასამტკიცებლად, რომ ოლიმპიადის ჩატარება შეუძლიათ.

ამ პროცესის შედეგი პროგნოზირებადია: იგებენ ის ქალაქები, რომლებიც მაღალ ფასებს სთავაზობთ. დღეისათვის საზაფხულო ოლიმპიადის ხარჯები 15 მილიარდი დოლარიდან 20 მილიარდამდე მერყეობს, რაშიც შედის სპორტდარბაზების აგებისა და განახლების სამუშაოები და უსაფრთხოება დამატებით ინფრასტრუქტურასთან ერთად. ქალაქის საერთო შემოსავლები საერთაშორისო სატელევიზიო კონტრაქტებიდან საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში მიდის, ხოლო საერთაშორისო და ადგილობრივი დაფინანსებიდან, ბილეთების და სუვენირების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები 3.5-დან 4.5 მილიარდამდე აღწევს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხარჯები შემოსავლებს ჩვეულებრივ 10 ან მეტი მილიარდით აღემატება.

ქალაქები, რომლებიც თამაშების სამასპინძლოდ იბრძვიან, ხშირად ამტკიცებენ, რომ მოკლევადიანი დეფიციტი გრძელვადიან მოგებად იქცევა ტურიზმის, უცხოური ინვესტიციების და ვაჭრობის ზრდის ხარჯზე.

სამწუხაროდ, ემპირიული მონაცემები ამ ყოველივეს არ ადასტურებს.

ავიღოთ ტურიზმი. 2012 წლის ივლის – აგვისტოში ოლიმპიადის მიმდინარეობისას ლონდონში ტურისტების რაოდენობა რეალურად 5 %-ით დაეცა. მაღაზიები, რესტორნები, თეატრები და მუზეუმები პიკადილის ქუჩაზე, რომელიც ღონისძიების ეპიცენტრთან ახლოს იყო, 17-დღიან არასამუშაო დღეს აანონსებდნენ.

ყოველდღიურად ტურისტები თავს არიდებენ ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქებს თამაშების განმავლობაში, გაურბიან ხალხის მასას, ტრანსპორტის გადატვირთვას, გაზრდილ ფასებს და სავარაუდო საფრთხეებს ქუჩაში. შედეგად თამაშების მასპინძლობას ტურიზმისთვის მეტი უარყოფითი მოაქვს, ვიდრე დადებითი. თუ ტურისტები გაურბიან ქალაქს ან უარყოფით გამოცდილებას იღებენ თამაშების გამო, ისინი არ გასცემენ დადებით „რეკომენდაციებს“ ქალაქზე საკუთარ მეგობრებთან და ოჯახთან.

ტურიზმის გარდა, გონიერი ბიზნესმენი არ განახორციელებს სერიოზულ ინვესტიციას და არ მიიღებს კომერციულ გადაწყვეტილებას მხოლოდ იმიტომ, რომ ქალაქი ოლიმპიადას მასპინძლობს.

სხვა რომ არაფერი, ამ დანახარჯებით ქალაქები ფისკალურ ტვირთს იკიდებენ, რაც მომავალში ნაკლებად მიმზიდველ ბიზნეს-გარემოს ქმნის.

კიდევ ერთი უარყოფითი ფაქტორი, რაც ქალაქზე აისახება, საჯარო კრიტიკაა, რომელსაც იგი იმსახურებს. თამაშებს ნამდვილად არ გამოუსწორებიათ ქალაქის იმიჯი, პირიქით – გავრცელდა უამრავი ნეგატიური ფოტო და ვიდეომასალა, სადაც ასახულია რიოს კრიმინალური გარემო. ქალაქი, რომელიც ერთ დროს საკუთარი ბუნებრივი სილამაზით და მხიარული ცხოვრების სტილით იყო ცნობილი, დღეს კორუფციით, ძალადობით, სიბინძურით, ზიკას ვირუსით და კორუფციითაა გამორჩეული.

სფერო, რომლითაც მასპინძლებს, თუმცა არა ყველას, რეალურად შეუძლიათ მიიღონ გრძელვადიანი მოგება, ინფრასტრუქტურული ხარჯებია. რიოს შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალაქი ისარგებლებს განახლებული საერთაშორისო აეროპორტებით და პორტით, თუმცა, ეს არაა საკმარისი მიზეზი მასპინძელ ქალაქად რომ აგირჩიონ. ეს მხოლოდ სანუგეშო პრიზია. მილიარდი დოლარის პროდუქტიული ინფრასტრუქტურული განვითარება მცირედით თუ შეძლებს დანარჩენ თამაშებზე დახარჯული 19 მილიარდის შევსებას, რომელიც არ გამოასწორებს ქალაქს მისი მცხოვრებლების და რეგულარული სტუმრებისთვის.

განვიხილოთ მეტროს ხაზი, რომლის ბიუჯეტმა 2.9 მილიარდი დოლარი შეადგინა (ბიუჯეტში თავდაპირველად 1.6 მილიარდი იყო გამოყოფილი).

ახალი ინფრასტრუქტურა გაზრდის საკუთრების ღირებულებას „Barra da Tijuca“-ში, თუმცა, ვერაფრით დაეხმარება რიოს საშინელ სამანქანო მოძრაობას.

ცენტრიდან დასავლეთით და ჩრდილოეთით მცხოვრები მუშახელისთვის ისეთივე რთული იქნება მგზავრობა, როგორც წინათ. ასეთი მაგალითები უამრავია. ქალაქში „Marapendi Natural Reserve“-ის დაცულ ტერიტორიაზე გაკეთდა გოლფის მოედანი, რაც ეკოსისტემის დეგრადაციას გამოიწვევს და დიდი რაოდენობით წყალს მოიხმარს, რაც განსაკუთრებით დეფიციტურია ქალაქისთვის. ასევე ოლიმპიური კომიტეტის წევრების კომფორტული გადაადგილებისთვის აიგო ახალი საავტობუსო გზები, რითაც უფრო მეტად დავიწროვდა ისედაც გადატვირთული ქუჩები.

უმიზნო და გამანადგურებელ ინფრასტრუქტურასთან ერთად რიოს თამაშებმა ადამიანური ხარჯებიც გაზარდა. 32 სპორტდარბაზის ოთახებისთვის, ათლეტების ოლიმპიური სოფლისთვის, სატელევიზიო ცენტრებისთვის, სივრცისთვის და ლამაზი ლანდშაფტისთვის რიოს მთავრობამ 2009 წლიდან, როცა ქალაქმა ოლიმპიადის ჩატარების უფლება მიიღო, 77.000-ზე მეტი „ქოხების დასახლების“ მოსახლე გაასახლა.

უეჭველია, რომ ოლიმპიადის მასპინძლობა ეკონომიკური შეფერხებაა ნებისმიერი ქალაქისთვის – ასე ფიქრობს Project Syndicate-ი და წერს, რომ ნაკლებ განვითარებული ქალაქები არაშესაბამისი ინფრასტრუქტურით იძულებულნი ხდებიან მეტი დახარჯონ იმისთვის, რომ შესაბამისობაში მოვიდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სტანდარტებთან; უფრო განვითარებულ ქალაქებში არსებობს ინფრასტრუქტურა, მაგრამ არ არსებობს სივრცე და წარმატებული სექტორების შეფერხების რისკი მაღალია.

რიოს ოლიმპიადაზე ყველაზე წარმატებით, ტრადიციულად, აშშ-მა იასპარეზა, რომელმაც ჯამში 121 მედალს მოუყარა თავი. საქართველომ მედლების რაოდენობის მიხედვით შედგენილ რეიტინგში (უპირატესობა ენიჭება ოქროს რაოდენობას) 38-ე ადგილი დაიკავა. თუმცა, საინტერესოა ერთი ფაქტი – თუკი საქართველოს მიერ მოპოვებულ მედლებს (7) ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტს (435.6 მლრდ.) შევადარებთ, ქართველთა ასპარეზობა ოლიმპიადაზე წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. მეტიც: ამ მაჩვენებლით ჩვენი ქვეყანა გრენადის, იამაიკისა და ბაჰამის შემდეგ მეოთხე ადგილს დაიკავებდა.

კომერსანტი

ავტოავარიებს ყოველდღიურად ადამიანების სიცოცხლე ეწირება

ქუთაისის შემოვლით გზაზე ბოლო ერთი თვის განმავლობაში მომხდარი ორი საზარელი ავტოკატასტროფის და, ზოგადად, ავარიების სტატისტიკის ზრდის შემდეგ, მთავრობამ პირობა დადო, რომ აღნიშნულ მონაკვეთზე და მთლიანად საქართველოს გზებზე საგზაო უსაფრთხოების მიზნით კონტროლს გაამკაცრებდა. „კომერსანტი“ შეეცადა, თავად გადაემოწმებინა რეალურად გაძლიერდა თუ არა კონტროლი. ამ დღეებში დასავლეთ საქართველოდან თბილისში მგზავრობისას, „კომერსანტის“ რამდენიმე თანამშრომელმა დაადგინა, რომ ავტომაგისტრალზე, კერძოდ კი მის ყველაზე გადატვირთულ და მანევრირებისთვის სახიფათო მონაკვეთებზე პატრულის მანქანები მოძრაობდნენ. თუმცა ეს არასაკმარისად, ფრაგმენტულად ხდება და „ავტობანზე“ ზოგადი სურათი ისევ მძიმეა: ავტომობილების საკმაოდ დიდი ნაწილი, სხვა მონაკვეთებზე, უხეშად არღვევს საგზაო მოძრაობის წესებს.

მართლაც გააძლიერა თუ არა შსს-მ გზებზე კონტროლი და რაში გამოიხატება ეს? ამ საკითხზე ინფორმაციის მოწოდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ვთხოვეთ. შსს-ში ზოგადი კომენტარით შემოიფარგლებიან — რომ გარკვეული ღონისძიებები უკვე გაატარეს და პატრულირება 24-საათიანი რეჟიმში მიმდინარეობს. შს სამინისტროში ამბობენ, რომ „ქუთაისი-სამტრედიის შემოვლით გზაზე და ასევე საქართველოს დანარჩენ გზებზე, საპატრულო ეკიპაჟები 24 საათის განმავლობაში პატრულირებენ.“

შსს-ს წარმომადგენელთა თქმით, ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის მიზნით, 2016 წლის შემოდგომიდან საქართველოს გზებზე ვიდეოანალიტიკით აღჭურვილი კამერები დამონტაჟდება, რომლებიც სატრანსპორტო საშუალებათა დარღვევებს მაქსიმალურად გააკონტროლებს. დეტალური ინფორმაციის მიღება, კონკრეტულად რამდენი ეკიპაჟი დაემატა ქვეყნის ცენტრალურ ავტომაგისტრალს ყველაზე გადატვირთულ სეზონზე, შსს-დან ვერ შევძელით. იმის შესახებ, რომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამა არსებობს, მედიისთვის დიდი ხანია ცნობილია, თუმცა პრობლემაა ის, რომ პროგრამის დამტკიცება ჭიანურდება. როდის ამოქმედდება ახალი, გამკაცრებული წესები საგზაო მოძრაობის მონაწილეებისთვის — სწორედ ესაა მთავარი შეკითხვა, თუმცა მასზე პასუხი არ არსებობს.

იმის შესახებ, რომ საგზაო უსაფრთხოების მხრივ, განსაკუთრებით კი ქუთაისის შემოვლით გზაზე პრობლემებია, „კომერსანტი“ ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში წერდა და აფრთხილებდა ხელისუფლებას, რომ გზაზე არსებული ხარვეზები ავტომობილით გადაადგილებას სარისკოს ხდიდა. მაშინდელ სტატიებში აღვნიშნავდით, რომ გზის გარკვეულ მონაკვეთებზე საგზაო მონიშვნები უხარისხოდ, ფრაგმენტულად არის გაკეთებული თუ შემორჩენილი. ზოგ შემთხვევაში კი საერთოდ წაშლილია. ამას ემატება განათების არარსებობა, რის გამოც ღამის საათებში ხილვადობა მინიმუმამდეა დასული.

ჩვენ მაშინ ინფრასტრუქტურის მინისტრს ამ გზაზე ერთად გავლაც კი შევთავაზეთ, რათა მას თავად შეეფასებინა, რამდენად სარისკოა აღნიშნულ მონაკვეთზე მოძრაობა. რისკები განსაკუთრებით ღამის საათებში მატულობს, რადგან გზაზე დღემდე არაა განათება. მაშინ პასუხად მივიღეთ, რომ გზას არავითარი პრობლემა არ აქვს და ის საავტომობილო მოძრაობისთვის სრულიად უსაფრთხოა.

თუმცა ბოლო ერთ თვეში რამდენიმე საზარელმა ავარიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გზის ეს მონაკვეთი უსაფრთხო ნამდვილად არ არის. ერთ თვის ინტერვალში ამ გზაზე 7 ადამიანის გარდაცვალება არასამთავრობო ორგანიზაციებმა, პოლიტიკოსებმა და რიგითმა მოქალაქეებმა სოციალური ქსელის მეშვეობით გააპროტესტეს, შს სამინისტრო არასათანადო კონტროლში დაადანაშაულეს და უკვე მერამდენედ მოითხოვეს გზებზე უსაფრთხოების გაძლიერება.

პირველი შემთხვევის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ აპირებდნენ სიჩქარის გადაჭარბებაზე კონტროლს გაძლიერებას. თუმცა 3 კვირის შემდეგ მომხდარმა კიდევ ერთმა საზარელმა ავარიამ დაადასტურა, რომ მღებრიშვილის უწყებას ამ მიმართულებით ძირეული ცვლილება არ განუხორციელებია, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

როგორც ჩვენთან საუბრისას „ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ თავმჯდომარე **დავით მესხიშვილი** აცხადებს, გზებზე კონტროლი კვლავ მიშვებულია.

„რამდენიმე დღის წინათ მომიწია თბილისიდან დასავლეთ საქართველოში გამგზავრება, თუმცა გზებზე კონტროლი გამკაცრებული ნამდვილად არ არის. ისე ჩავედი დასავლეთში აღმოსავლეთიდან, რომ გზაზე საპატრულო პოლიციის მხოლოდ ერთი ეკიპაჟი შემხვდა.

არადა, ჩვენ ვაფრთხილებდით შსს-ს, რომ ივლის-აგვისტოში, როდესაც ინტენსიური გადაადგილება ხდება რეგიონებში, გზებზე საპატრულო ეკიპაჟი დაემატებინათ, დაემონტაჟებინათ რადარები, რათა თავიდან აგვეცილებინა მსხვერპლი. თუმცა დღემდე ეს საკითხი ისევ მოუგვარებელია, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს“, — განუცხადა „კომერსანტს“ მესხიშვილმა.

„ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორის **ვასო ურუშაძის** თქმით, არა თუ არასამთავრობოების, სახელმწიფო დონეზეც კი არ ხდება მონიტორინგი. არ არსებობს უწყება, რომელიც მოძრაობის უსაფრთხოებაზე მუშაობს და ამის მონიტორინგს ახორციელებს.

„ქვეყანაში არ არსებობს უწყება, რომელიც სწავლობს, ანალიზს აკეთებს ინფრასტრუქტურისა და მოძრაობის დატვირთვის კუთხით. ასეთი უწყება უნდა არსებოდეს, ის უნდა სწავლობდეს სიტუაციას და შემდეგ აწვდიდეს სხვადასხვა სტრუქტურას ამ მონაცემებს, რათა დაიგეგმოს, თუ რა პრევენციული ღონისძიებების გატარება უნდა მოხდეს. თანხები იხარჯება ისეთ სულელურ კამპანიებში და ვიდეორგოლებში, რომელიც მსოფლიოში არ არის აპრობირებული“, — დასძინა ურუშაძემ.

რაც შეეხება ქუთაისის შემოვლით გზას, ურუშაძის თქმით, ხელისუფლებამ მაგისტრალის ამ მონაკვეთზე ფიქრი მას შემდეგ დაიწყო, რაც იქ გახმაურებული ავარია მოხდა. ამ ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ, გადაწყვიტეს, რომ იქ გზა-გამყოფი, ე.წ.პლასტმასის ნიშნები გაეკეთებინათ. მისივე თქმით, რეალურად ეს ნიშნები მაღალი სიჩქარით მოძრაობის შემთხვევაში ვერ იქნება შემაფერხებელი იმისა, რომ ავარია არ მოხდეს.

„კომერსანტმა“ ბოლო პერიოდში არაერთი სტატია გამოაქვეყნა, რომლებშიც შეახსენებდა ხელისუფლებას, რომ დამრღვევი მძღოლებისადმი საპატრულო პოლიციის ლოიალობისა და გზებზე კონტროლის შესუსტების შედეგად დაღუპულთა რიცხვი სულ უფრო იზრდება და ამას რეაგირება სჭირდება. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ვითარება ძირეულად არ შეცვლილა, მეტიც: ჭიანურდება საგზაო უსაფრთხოების კანონმდებლობის მიღება — როგორც ექსპერტები ერთხმად აცხადებენ, ამის მიზეზი მოახლოებული არჩევნებია.

ხელისუფლების პასიურ პოზიციას კი ყოველდღიურად ადამიანების სიცოცხლე ეწირება.

კომერსანტი

დაკავებულ პოლიციელს ლევან იზორიასთან არანაირი ნათესაური კავშირი არა აქვს

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში დაგეგმილი ტერორისტული აქტის საქმეზე დაკავებული ერთ-ერთი პირი, საპატრულო პოლიციის მოქმედი თანამშრომელი ლევან მამფორია, თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიას ნათესავია. უწყებაში განმარტავენ, რომ საპატრულო პოლიციის დაკავებულ თანამშრომელსა და ლევან იზორიას შორის არანაირი ნათესაური კავშირი არ არსებობს და აქვთ საფუძვლიანი ეჭვი ივარაუდონ, რომ კონკრეტული სუბიექტების მხრიდან მსგავსი ინფორმაციის გავრცელება მიმართულია თავდაცვის მინისტრის დისკრედიტაციისკენ.

საზღვარს უკანონოდ კვეთდნენ

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, პირველი სამმართველოს (ბათუმი) №1 სასაზღვრო სექტორის (სარფი) დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, შრი-ლანკის რესპუბლიკის 3 და თურქეთის რესპუბლიკის 1 მოქალაქე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ შრი-ლანკის რესპუბლიკის 3 მოქალაქე, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქის დახმარებით ცდილობდა.

გაქურდეს სწრაფი ჩარიცხვის აპარატები

შსს-ს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის, თელავის რაიონული სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული, წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი კ. ხ., 1993 წელს დაბადებული ო. ს. და 1993 წელს დაბადებული ა. მ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის აგვისტოში, წინასწარი შეთანხმებით, თელავისა და გურჯაანის რაიონებში სწრაფი ჩარიცხვის რამდენიმე აპარატი დააზიანეს და გაქურდეს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-**სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სამივე ბრალდებული ვაზიანი-თელავი-გომბორის საავტომობილო გზაზე დააკავეს. ავტომანქანის ჩხრეკისას მოპარული 1 154 ლარი და დანაშაულის ჩადენის იარაღები — ნივთმტკიცებად ამოიღეს.**

ტყე ისევ ნადგურდება

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს სწრაფი რეაგირების განყოფილების თანამშრომლებმა ხე-ტყის უკანონო ჭრის 6 ფაქტი გამოავლინეს.

თელავის, ახმეტის, სიღნაღის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში მოქალაქეებმა უკანონოდ მოიპოვეს რცხილის და წიფლის სახეობის ხეები.

შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები. მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება შესაბამის რაიონულ სასამართლოს.

◎ ჯანმრთელობა

აბების დალევას რაცა სჯობს...

ხშირ შემთხვევაში, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პატარ-პატარა პრობლემების წარმოქმნისას, მაინცდამაინც რაღაც სამკურნალო პრეპარატების მიღება საჭირო არ არის, მათი გადაჭრა, რომ იტყვიან, მამა-პაპური ხერხებითაც საკმაოდ ეფექტიანად შეიძლება.



შაკიკი

თავის თმიანი ნაწილი თითებით ისე დაიზილეთ, რომ სითბო იგრძნოთ. ეს ვარჯიში ქალა ტვინის სისხლ-ძარღვებში მიმოქცევას გააუმჯობესებს. თუკი კისერი გაგიშეშათ, მაშინ ისიც დაიზილეთ.

კუჭის წვა

აიღეთ კოვზი შვრიის ბურბუშელა და ჭიქა მდუღარე წყალი დაასხით, აცადეთ დაყენება, მერე ოთახის ტემპერატურამდე გაციება და სითხე დალიეთ. იგი მოედება და წვას დაგიამებთ.

დაბნეულობა

დილაობით გონების მოკრეფა გიჭირთ? თავდაპირველად ყურები დაიზილეთ: ხელისგულებით გარედან დაისრისეთ ნიჟარები, შემდეგ თითებით მათი შიდა მხარეები, შეიყავით თითი და ჯერ საათის ისრის, მერე კი საწინააღმდეგო მიმართულებით ამოძრავეთ.

ასევე შეგიძლიათ ყურები ცივ წყალში დასველებული ხელსახოცით გაიწმინდოთ, შემდეგ კი ვაფლის პირსახოცით გაიმშრალოთ. ბიოლოგიურად აქტიურ წერტილებში სისხლის ნაკადის გაძლიერება, რომლებიც ბლომადაა ყურის ნიჟარაში, თავის ტვინის მუშაობას გააძლიერებს.

კარგი იქნება თუკი გარკვეულ ვარჯიშებს ხელებისთვისაც ჩაიტარებთ: თითები ჯერ გაპარჭყეთ, შემდეგ მუშტად შეკარით, მაჯები ამოძრავეთ და ხელის მტევნების გარე მხრებთან ერთად დაიზილეთ, ხელისგულები ერთმანეთს გაუხახუნეთ.

უძილობა

დაძინების წინ ენის ქვეშ კოვზი თაფლი დაიდეთ, უცბად ნუ გადაყლაპავთ და კანფეტივით წუწნეთ. მცირე დოზებით თაფლი დამამშვიდებელივით მოქმედებს, რაც უძილობას შველის.

გაციება

ორპირმა დაგიბერათ, ფეხები გაგეყინათ, ცხვირის სრუტუნი და ყელის ხიცინი დაგეწყოთ? გაციებისას ასპირინზე უკეთესი საშუალებაა ალუბლის წვენი შიგ გარეული კოვზი თაფლით დალევა.

ამას შეგიძლიათ მიამატოთ კოჭას ცხელი ჩაი. ერთ კოვზ მის ახლად დაჭრილ ფესვს ქაფქაფა მდუღარე წყალი დაასხით და არანაკლებ ერთი საათისა აცადეთ დაყენება, შემდეგ დაუმატეთ მიხაკი და დარიჩინი.

გავექცეთ ინსულტს!



მეცნიერთა პროგნოზით, 2030 წლისათვის თავის ტვინის დაავადებები პირველ ადგილზე გავა და გულის სისხლძარღვთა, ასევე ონკოლოგიურ დაავადებებს გაუსწრებს.

ძირითადი სნეულებები, რომელთა ფონზე ვითარდება ინსულტი, არის ათეროსკლეროზი, არტერიული ჰიპერტონია და შაქრიანი დიაბეტი, რომელიც წინა ორი დაავადების ერთგვარი კატალიზატორია. რისკის სხვა ფაქტორებთან აღსანიშნავია ჭარბი წონა, არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა, თამბაქოს წევა, ასაკი (რაც უფრო მეტია ის, მით მეტია რისკი), სისხლის მომატებული სიბლანტე, მოციმციმე არითმია.

რისკის ყველაზე სახიფათო ფაქტორებად მიჩნეულია ასევე საძილე, ხერხემლისა და თავის ქალის შიდა არტერიების სტენოზები (სისხლძარღვთა შევიწროებები), რომლებიც, როგორც წესი, ათეროსკლეროზის შედეგია.

სტენოზის ირიბი ნიშნებია: გამავალი სისუსტე ხელში ან ფეხში, მგრძნობიარობის მეტყველების ან მხედველობის დარღვევა, ბინდი თვალში.

გასათვალისწინებელია, რომ ინსულტის ნულოვანი რისკის მქონე ადამიანები არ არსებობენ.

როგორ დავიცვათ თავი ინსულტისგან

40 წლის მიღწევის შემდეგ ყოველდღიურად გაიზომეთ არტერიული წნევა, რომლის მომატებას შემთხვევათა 80 პროცენტში კაცი ვერ გრძნობს; ერიდეთ წონის მომატებას; მეტი იმოძრავეთ, ოღონდ საკუთარ ფიზიკურ ძალთა შესაძლებლობების ფარგლებში; ნუ ინერვიულებთ: ნებისმიერი ნევროზულობა წნევის მომატების ალბათობას ზრდის. თამბაქოს ნუ მოსწევთ, ალკოჰოლი იშვიათად და ზომიერად მოიხმარეთ.

როგორია ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი ქალაქ ბათუმში?

გარემოს ეროვნული სააგენტოს კვლევის თანახმად, ბათუმში ატმოსფერულ ჰაერში მტვრისა და ნახშირჟანგის ერთჯერადი კონცენტრაცია დასაშვებ ნორმას 1.4-ჯერ აღემატება, აზოტის კი — 1.2-ჯერ.

როგორც რადიო „თავისუფლება“ აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოზე დაყრდნობით აცხადებს, სამმართველოში ამ მაჩვენებლებს ბათუმში ავტომობილების რიცხვის ზრდასა და ქალაქში მიმდინარე მშენებლობებს უკავშირებენ. ამ ფონზე ბათუმში ერთ მოსახლეზე, დადგენილ ნორმასთან შედარებით, 4-ჯერ ნაკლები მწვანე საფარი მოდის.

მარილი ხელს უწყობს კიბოს წარმოქმნას

მარილი, როგორც ვიცით საუკეთესო კონსერვანტია, სწორედ ამიტომ, მას ხშირად ვიყენებთ სხვადასხვა პროდუქტების შესანახად.ყველას ძალიან გვიყვარს ზამთრისთვის საგულდაგულოდ შენახული მწნილები და სხვა დამარილებული ბოსტნეული, შაშხი და ლორი ხომ თითქმის დელიკატესად ითვლება.

არადა, მარილი თურმე პირდაპირ კავშირში ყოფილა მუცლის ღრუს სიმსივნის გაჩენასთან.

სიმსივნესთან ბრძოლის საერთაშორისო ფონდმა შეაგროვა 89 სხვადასხვა მეცნიერის მიერ ჩატარებული კვლევები, რომლებიც დაახლოებით 17 მილიონ ადამიანს ჩაუტარდა.დასკვნები მართლაც რომ სავალალო აღმოჩნდა. ყველანაირი მარინადი, შებოლილი თევზი თუ ზედმეტი მარილით გაჯერებული სხვადასხვა პროდუქტი მუცლის ღრუს ორგანოების სიმსივნეს იწვევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს დაავადება, მამაკაცებში უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ქალებში. რადგანაც მამრობითი სქესი უფრო მეტ მარილიან საკვებს ეძალება.

მუცლის ღრუს სიმსივნე მე-5 ადგილზეა მსოფლიოში კიბოთი დაავადებულ პაციენტებს შორის.

მიირთვით ნაკლები მარილი და იცოცხლეთ დიდხანს — მოგვიწოდებენ მსოფლიოს მეცნიერები...

ამერიკელმა მეთევზეებმა ადამიანის კბილებიანი თევზი დაიჭირეს

მიჩიგანის შტატში, მეთევზეებს ძალიან გაუმართლათ, რადგან იმათ ანკესზე ეგზოტიკური თევზი წამოეგო.



იგი ძალიან ჰგავს ცნობილ სამხრეთ ამერიკულ პირანიას და ადამიანის მსგავსი კბილებით გამოირჩევა. მას შეუძლია დაამტვრიოს კაკალი. სიგრძეში ეს თევზი 88 სანტიმეტრამდე იზრდება და დაახლოებით 25 კილოგრამს იწონის..

თავის უცნაურობის გამო ის ძალიან პოპულარულია აკვარიუმების მფლობელებში. როგორც წესი, თევზი მიჩიგანში არ ბინადრობს, მას ამაზონის თბილი წყალი უყვარს და სწორედ ამ აუზის ბინადარია. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მიჩიგანის ცივ ტბაში თევზები ადგილობრივების გაშვებულია...

რამდენ ხანს გრძელდება ქალის სიყვარული?

ბელგიაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად თურმე 5-წლიანი ქორწინების შემდეგ ქალების 80 პროცენტს სიყვარული ნაწილობრივ უნელდებათ.

გამოკითხეს ხანგრძლივ ქორწინებაში მყოფი 200 ქალბატონი. მათი თქმით, ყველაზე ბედნიერი სწორედაც რომ პირველი ხუთი წელი იყო.

ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ხშირად ქორწინება განშორებით სრულდება, რაც თურმე პირდაპირ კავშირშია სიყვარულის განელებასთან.

გამოკითხვის ბევრმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ხუთწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, მამაკაცები მათ მიმართ ცივდებიან და ინტერესს კარგავენ, ხშირ შემთხვევაში ვეღარც კი ამჩნევენ საყვარელ ქალბატონებს. ეს ყველაფერი თანდათან ქალების გრძნობის გაციებასაც იწვევს, რასაც მოჰყვება ხშირი კამათი და ჩხუბი... ამ გზას კი საბოლოოდ განქორწინებამდე მივყავართ.

სამწუხაროდ, მხოლოდ ქალების 20 პროცენტს სურს, რომ ხუთწლიანი თანაცხოვრების შემდეგ კვლავ დარჩენ ქორწინებაში საყვარელ მეუღლეებთან ერთად.

მელ გიბსონმა ყოფილი ფიქტიური ცოლი უფულოდ დატოვა

ცნობილი მსახიობის მელ გიბსონისა და მისი ყოფილი მეგობარი ქალის, წარმოშობით რუსი პიანისტის, აქსანა გრიგორევას დაშორება სკანდალით მიმდინარეობს.

სასამართლომ მსახიობს 750 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა, თუმცა, მას შემდეგ, რაც აქსანამ გულახდილად ისაუბრა ჰოვარდ სტერნის პოპულარულ შოუში, გიბსონმა თანხის გადახდაზე უარი თქვა.

პიანისტმა აღიარა მსახიობთნ თანაცხოვრების რთული პერიოდი,არადა სასამართლოს გადაწყვეტილებით, გრიგორევა თანხას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდა, თუ მათ პირად ცხოვრებას არ გაასაჯაროებდა.

ახლა პიანისტი უფულოდ დარჩა, მაგრამ ამბობენ, რომ მას გულწრფელობისთვის საკმაოდ სოლიდური ჩეკი გამოუწერეს.

შეგახსენებთ, რომ მათი რომანი 2006 წელს დაიწყო, 2009 წელს ქალიშვილი შეეძინათ. რამდენიმე ხნის შემდეგ,აქსანამ ვარსკვლავი ოჯახურ ძალადობაში დაადანაშაულა.

ლედი გაგამ ახალი რომანი გააჩაღა

30 წლის ლედი გაგამ და 61 წლის რეი ლიოტამ, ერთმანეთი 2014 წელს, ფილმის „ცოდვების ქალაქი-2“ გადაღებებისას გაიცნეს. თუმცა მათი რომანი ახლახანს დაიწყო, რადგანაც სულ ცოტა ხნის წინათ, მომღერალი მსახიობ ტეილორ კინისთან დაშორებას განიცდიდა. თუმცა შემცვლელი სულ რაღაც ერთ თვეში მოძებნა. 30 წლის გაგას და 61 წლის ლიოტას რომანტიკული ურთიერთობა აქვთ. ახლახან წყვილი მანჰეტენზე, იტალიურ რესტორანში შეუნიშნავთ. ვახშამს მომღერლის მამაც კი დასწრებია. მასმედიის წარმომდგენლები ვარაუდობენ, რომ მათი ურთიერთობა მალე ახალ ეტაპზე გადავა.



უცხოური პრესის მასალების მიხედვით მოამზადა
რუსუდან ქოჩულიამ

თვალისჩინი დიდ ხანს რომ შეგვრჩეს

მეცნიერები წინასწარმეტყველებენ: ახლო მომავალში დედამიწის მოსახლეობის ნახევარი ახლომხედველი იქნება.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ამის მიზეზი არა მარტო ისაა, რომ უამრავ დროს სხვადასხვა გაჯეტით ხელში, კომპიუტერთან ან ტელევიზორთან ვატარებთ, არამედ ისიც, რომ ეკოლოგიური ვითარების გაუარესების გამო ადამიანის გენომში მუტაციები ხდება, რის გამო სულ უფრო მეტი ბავშვი შემაერთებელი ქსოვილის (კოლაგენური ბოჭკოების) სისუსტით იბადება. გარდა ამისა, ახლომხედველობა მემკვიდრეობითაც გადაეცემა.

ამიტომაც, კარგი მხედველობის შესანარჩუნებლად ექიმები, უწინარესად, სამუშაო ადგილის სწორად მოწყობას გვირჩევენ. მეორე ადგილზეა მხედველობის ჰიგიენა: კომპიუტერთან ან კითხვაში გატარებული ყოველი 45 წუთის შემდეგ საჭიროა თვალები დავასვენოთ, მზერა ახლოში მყოფი საგნებიდან შორეულებზე გადავიტანოთ, მეტი ვისეირნოთ და ფიზიკურ დატვირთვასაც მოვუმატოთ.

სინგაპურის მზის ბაღები

უამრავ ღირსშესანიშნაობათა შორის, რომლებითაც სინგაპური თავს იწონებს, მაინც გამორჩეულებია მსოფლიოში უდიდესი სიმდიდრის შადრევანი, მიმოხილვის ბორბალი და ცნობილი ბაღები ოცნების უბეში, რომლებზეც 101 კვადრატულ ჰექტარზე ორი ორანჟერეაა გაშენებული.

მზის ჩასვლის შემდეგ ყველა ეს უზარმაზარი ობიექტი მთლიანად ფერადი ნათურის კასკადებით ნათდება, რომლებიც მზის ბატარეებით იკვებებიან. ხშირი ტროპიკული წვიმების მიუხედავად, ეკვატორული მზე მაინც საკმარისს ენერგიას იძლევა. სხვათა შორის, სინგაპურში აქტიურად იყენებენ არა მარტო მზის, არამედ გადამუშავებული ნაგვის, ნაცვენი ფოთლების ნეშომპალის, წვიმის წყლის ენერგიებსაც კი.

აი, თურმე რა გვატირებს...

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ თანამედროვე მამაკაცები უფრო ხშირად ტირიან.

გამოკითხვის პროცესში შუა ხნის მამაკაცებმა აღიარეს, რომ ზრდასრულ ცხოვრებაში, საშუალოდ, 14-ჯერ უტირიათ. უფროსი თაობის წარმომადგენლებმა კი მხოლოდ ხუთი ასეთი შემთხვევა გაიხსენეს.

ამ გარემოებას ფსიქოლოგები იმით ხსნიან, რომ თანამედროვე საზოგადოება უფრო შემწყნარებელი გახდა.

◎ ანეკდოტები

მამაკაცები მართლაც ორ ჯგუფად იყოფიან, როგორც ამას ქალები ამტკიცებენ, ოღონდ არა პატიოსან ცოლიანებად და ავაზაკ ბერბიჭებად, როგორც ამას საქვეყნოდ გაიძახიან, არამედ ყურმოჭრილ დაოჯახებულებად და მათი ჭირის თანამოზიარეებად.

* * *

— მოძალაძე! პოლიციის თანამშრომლის შეურაცხყოფისთვის თქვენ 250 ლარით ხართ დაჯარიმებული!

— კი გენაცვალე, აჰა, შენ 1000 ლარი და ახლა კარგად მომისმინე...

* * *

— ოჯახობა ქე გოუშვი აგარაკზე, მაგრამ, რად გინდა, ახლა ტარაკნებმა შემჭამეს! ერთ დღესაც ევიღე და ცოლის თმის ლაქით დავხოცავ-თქვა, ჰოდა მივუშვი და მივუშვი!..

— მერე, რა ქენი, დახოცე?

— ვერა ბიჭო, ვერ დავხოცე, დღესაც კაი ჯანზე არიან, მარა ერთი მაგათი „პრიჩოსკები“ განახა, სიცილით მოკვდები!..

* * *

ჭიჭიკია „სასწრაფო დახმარებაში რეკავს:

— ალო, „სასწრაფოა“? გადმომირეკე ერთი, თუ ჩემი დაია ხარ, თვარა მობილურით გირეკავ!..

* * *

— წუხელ ღამე სამ საათზე რომ მობრძანდი გატიალებული მთვრალი, ეგ, ვთქვათ, არაფერი, — ავის მომასწავებელი სიმშვიდით ეუბნება ცოლი ქმარს. — მაგრამ, ვაჟბატონო, იქნებ აგვიხსნა მე და ბავშვებს, ზურგი რატომ გაქვს დაპორტყნილი?

— ძვირფასო, ვიცი, არ დამიჯერებ... მაგრამ ისეთი ნასვამი ვიყავი... ფეხი მეშლებოდა... ვერ მოვდიდი... არწივმა მომიტანა სახლში...

* * *

სამახსოვრო მამაკაცებისთვის:

„თუკი ვერ იხსენებთ ქალთან ბოლოს როდის იყავით, ეს სკლეორზის ბრალი არ არის“.

ზურაბ წერეთლის ქანდაკებებს სოჭში აღარ დადგამენ

შეგახსენებთ, რომ ცნობილმა ქართველმა მოქანდაკემ რუსეთის რამდენიმე დიდ ქალაქს: მოსკოვს, სანკტ-პეტერბურგს, ეკატერინბურგს და სოჭს, საკუთარი ახალი კომპოზიციების „იესო ქრისტეს“ და „არგონავტების“ დადგმა შესთავაზა.

ქალაქ სოჭის არქიტექტურის სამსახურმა ახლახან განიხილა დიდი მოქანდაკის ეს წინადადება. იესოს ბრინჯაოს ქანდაკება 33-მეტრიანია, რომელიც 47-მეტრიან კვარცხლბეკზე უნდა აღიმართოს, რა თქმა უნდა, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას. საბოლოოდ სოჭის არქიტექტორებმა მტკიცე უარი განაცხადეს — ქანდაკებები ქალაქის არქიტექტურულ იერსახეში ვერ ჯდება და ამასთანავე მათი შენახვა ყოველწლიურად ქალაქის ბიუჯეტს ძვირი დაუჯდებაო! — განაცხადეს სოჭის არქიტექტურის სამსახურში.

უფრო ადრე ამ უზარმაზარი ქანდაკებების დადგმაზე უარი განაცხადეს სანკტ-პეტერბურგშიც....

მოამზადა
რუსუდან შავლიაშვილმა

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3.
293-13-34; 599 797679

ყურადღება!

„ლიტერატურული ბაზრობა“

თქვენი პუბლიკაცია ჩვენს გაზეთში!



„საქართველოს რესპუბლიკა“ იწყებს ნაწარმოებების მიღებას ახალ საინფორმაციო-სარეკლამო პროექტ „ლიტერატურულ ბაზრობაში“ მონაწილეობისათვის.

ვიწვევთ პოეტებს, პროზაიკოსებს, დრამატურგებს, პუბლიცისტებს, რომლებსაც სურთ, გამოაქვეყნონ თავიანთი ნაწარმოებები „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე, განათავსონ ინფორმაცია ახალი წიგნის გამოსვლის თაობაზე. ასევე შესაძლებელია ობიექტური რეცენზიების პუბლიკაცია (რომლებიც არ შეიცავენ ესთეტიკურ შეფასებებს). ავტორებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა არა მხოლოდ გამოაქვეყნონ თავიანთი ნაწარმოებები უძველესი და ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული გამოცემის ფურცლებზე, არამედ მიიზიდონ გამომცემელთა და კრიტიკოსების ყურადღება, გახადონ უფრო მკაფიო თავიანთი ლიტერატურული ბედი.

„ლიტერატურული ბაზრობა“ გამოდის კომერციულ საფუძველზე, რაც ავტორს საშუალებას აძლევს თავად განსაზღვროს პუბლიკაციის მოცულობა.

შეფასებები მითითებულია „საქართველოს რესპუბლიკის“ საიტზე. ნაწარმოებები უნდა გამოიგზავნოს განყოფილებაში „ლიტერატურა“ ელექტრონულ მისამართზე sakresp@mail.ru შენიშვნით წერილის თემაზე „ლიტერატურული ბაზრობა“.

რა თქმა უნდა, მსურველებს შეუძლიათ, რომ რედაქციაშიც მობრძანდნენ.

ფასების ნიხრი ასეთია:

ლექსის სტრიქონი	— 1,5 ლარი,
მოთხრობის ერთი კომპიუტერული გვერდი	— 30 ლარი,
პიესის თითო კომპიუტერული გვერდი	— 20 ლარი,
პუბლიცისტური წერილის გვერდი	— 25 ლარი,
ცნობა ახალი წიგნის გამოსვლის თაობაზე	— 15 ლარი,
რეცენზიის ერთი კომპიუტერული გვერდი	— 25 ლარი.

შემოსული ნაწარმოებები დაიბეჭდება ყოველ შაბათს სპეციალური ჩანართის სახით.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.281; ევრო - 2.583;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.995;
100 რუბლი - 3.563; თურქული ლირა - 0.777;
აზერბაიჯანული მანათი - 1.394;
1000 სომხური დრამი - 4.805.

ამინდი 23 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +17,	დღე +36
მთიანი რაიონები -	ღამე +12,	დღე +35
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +20,	დღე +38
მთიანი რაიონები -	ღამე +18,	დღე +37
თბილისი:	ღამე +19,	დღე +35

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE